ახალი განათლება

2015 წელი, 2 - 8 აპრილი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№13 (687) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

პროფესია, რომელიც ქვეყნის მომავალს განსაზღვრავს

სნოს საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი **გიორგი ნადირაშვილი:**

„მასწავლებლის პროფესია ახალგაზრდებმა იმიტომ უნდა აირჩიონ, რომ ის რაც არ მოსწონდათ სკოლაში, თვითონ შეცვალონ. რაც დააკლდათ, თვითონ მისცენ სხვებს. გაიაზრონ, რომ ამ სფეროს განვითარების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის მომავალზე საუბარი და დღეს თითოეული მათგანი სჭირდება სკოლას.

...ვიღაც მოვარეზე ცოვებს ნაკვალევს, ვიღაც კი უფრო საოცარ ადგილას – ბავშვის გულში.“

გვერდი 4

2 აპრილი – აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების საერთაშორისო დღე

გვესაუბრება მედეა ზირაქაშვილი
ბავშვთა ნევროლოგი, ფსიქიატრი

გვერდი 2

პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა

გვერდი 8

წიგნის თარო

სიახლე!

გამოვიდა ქართულ ლიტერატურაში საატესტატო გამოცდისთვის მოსამზადებელი ტესტების მეოთხე ნაწილი
XX საუკუნის მწერლობა

ფასი 12 ლარი

აუტიზმის საერთაშორისო დღე

„წვიმის კაცის“ ქართული რეალობა

რაიმონდი ჩემი უსაყვარლესი კინოგმირია ბარი ლევინსონის ფილმიდან „წვიმის კაცი“. მართალი გითხრათ, აღარც კი მახსოვს რამდენჯერ მაქვს ნანახი.

მაშინ, როცა ფილმი კინოეკრანებზე გამოვიდა, აუტიზმის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი, უფრო სწორად არაფერი ვიცოდი, არადა რაიმონდი აუტიზმითაა დაავადებული. გამოგიტყდებით, ალბათ, მაშინ ფილმის ასე გამორჩევა მასში მონანილე მსახიობების სიყვარულმაც განაპირობა. ფილმის მთავარი გმირები – მომხიბვლელი ტომ კრუზი და უნიჭიერესი დასტინ ჰოფმანი – 17 წლის გოგონას გულგრილს ვერაფრით დატოვებდა. ფილმის ყურებისას ბრაზი მერეოდა ჩარლის უხეშ საქციელზე, მაგრამ ბოლოს, გაკეთილშობილებულ ტომ კრუზს, ამას ყოველთვის ვპატიობდი... გავიდა წლები და „წვიმის კაცი“ მაინც დარჩა იმ რამდენიმე ფილმს შორის, რომელსაც ვურჩევდი, რასაკვირველია, თუკი ვინმემ რჩევა მკითხა, აუცილებლად ენახათ. ახლა ფილმმა სხვა ღირებულება შეიძინა, ეს ჩარლის დამოკიდებულების შეცვლამ განაპირობა და იმ იმედმა, რომ ჩვენი საზოგადოებაც არსებულს ასეთივე დამოკიდებულებით ჩაანაცვლებს სტიგმის დასაძლევად, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არსებობს.

„წვიმის კაცში“ სტიგმის მსხვერპლის პრობლემა კარგად არის ნაჩვენები – რაიმონდი ყოველთვის მძაფრად რეაგირებს, როცა მისი აზრის ან სურვილის საწინააღმდეგოდ რაიმეს კეთებას სთხოვენ, მას ყოველთვის ჰგონია, რომ პრობლემა მხოლოდ მასშია და თვითონაა დამნაშავე, თავს ისჯის იმით, რომ კედელს ურტყამს თავს.

ალბათ, ყველას ახსოვს ფილმის სიუჟეტი – მამის გარდაცვალების შემდეგ აუტიზმით დაავადებული რაიმონდი მემკვიდრეობით სამ მილიონ დოლარს იღებს, მის ძმას ჩარლის კი, მამისგან, მხოლოდ ვარდები და 49 წლის „ბიურკი“ ერგება. უმცროსმა ძმამ მიზნად დაისახა, დაიბრუნოს თავისი „სამართლიანი წილი“და ძმა საავადმყოფოდან გამოჰყავს. მაგრამ მოხდა ის, რაც ყველაზე მეტ ემოციას იწვევს – რამდენიმედღიანმა თანაცხოვრებამ ყველაფერი შეცვალა... რაიმონდმა გადალახა ის ჩარჩო, რომელშიც წლების განმავლობაში იყო მოქცეული და მეტიც, გააკეთილშობილა და შეცვალა ჩარლი. ახალგაზრდა ბიზნესმენი, რომელმაც ადრეულ ასაკში დაიწყო დამოუკიდებლად ცხოვრება და ცდილობს ყველა და ყველაფერი თავის საკეთილდღეოდ გამოიყენოს, მხოლოდ მამის გარდაცვალების შემდეგ იგებს, რომ ჰყავს უფროსი აუტისტი ძმა, რომელიც ფსიქიატრიულ კლინიკაშია. ჩარლი ძალიან ბრაზობს იმის გამო, რომ მამამ ძმის არსებობა დაუმალა და თან მთელი ქონება მას უანდერძა. მდიდარი აუტისტი, რაიმონდ ბაბეტი, საავადმყოფოდან მხოლოდ იმ მიზნით გამოჰყავს ჩარლის, რომ მემკვიდრეობა თავად მიიღოს. რაიმონდს კი წარმოდგენაც არ აქვს ფული რისთვისაა საჭირო, სამაგიეროდ აქვს უნიკალური ნიჭი – საოცარი დამახსოვრების უნარი. მას შეუძლია რთული მათემატიკური ამოცანების შესრულება, კარგად ხატავს, კარგი მძღოლია. ამ უნარების წყალობით დიდ თანხებსაც იგებს კაზინოში, სადაც ძმას მიჰყავს ხოლმე. ჩარლისა და მისი შეყვარებულის დახმარებით ცეკვასაც სწავლობს. მაგრამ, რაიმონდს მუდმივად აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის პრობლემა, ის ხომ იზოლირებულად გაიზარდა. მართლაც საოცარი ფილმია და საუკეთესო საშუალებაც იმის დასანახად, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებსაც შეიძლება ჰქონდეთ ისეთი უნარები, რომლის განვითარება არა მარტო თავისთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც კი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს, მაგრამ აუცილებლად საზოგადოებასთან ურთიერთობით და არა იზოლირებით.

კიდევ ერთხელ ვნახე ფილმი, რათა დავრწმუნდე, დღესაც თუ რჩება „წვიმის კაცი“ ჩემ საუკეთესო ფილმთა ჩამონათვალში. ვრწმუნდები, ეს ნამდვილად ასეა. უბრალოდ, ვფიქრობ, მეტი შეიძლება მცოდნოდა აუტიზმის შესახებ, ამისთვის აუცილებელი არ არის პრობლემა შენ გეხებოდეს.

ამ წერილის დაწერა 2 აპრილის გამო გადავწყვიტე, ეს დღე მსოფლიოში აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეა, რომელიც 2007 წლის 18 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა. საქართველოში კი 2011 წელს პირველად აღინიშნა. ასამბლეის ინიციატივა განპირობებული იყო აუტიზმის შემთხვევათა მაღალი სიხშირით, რომელიც, მსოფლიოს მასშტაბით, ათობით მილიონ შემთხვევას უტოლდება.

2 აპრილს, გაეროს რეზოლუციის საფუძველზე, აუტიზმის მსოფლიო დღეს, პლანეტის ცნობილი შენობები და მონუმენტები საგანგებოდ ამ დაავადებისთვის შერჩეულ ლურჯ ფერად ნათდება.

სტატისტიკით დადასტურებულია, მსოფლიოს მასშტაბით, ბავშვების დაახლოებით 1%-ს აუტისტური სპექტრის აშლილობები აქვს, რაც მათ ჯანმრთელობას გლობალურ პრობლემად აქცევს. ბავშვთა, ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციის მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ საქართველოში ყოველი 110 ბავშვიდან ერთი აუტიზმითაა დაავადებული.

აუტიზმი ნეიროგანვითარებითი დარღვევების ჯგუფს განეკუთვნება. ძირითად ნიშნებს სოციალური ურთიერთობების დეფიციტი, სამეტყველო და არასამეტყველო კომუნიკაციების დარღვევა, განმეორებადი-სტერეოტიპული მოძრაობა და ქცევის პრობლემები წარმოადგენს.

აუტიზმის მქონე ადამიანებს სახის გამომეტყველების, ხმის ტონის, ხუმრობისა და სარკაზმის გაგება-გამოყენება უჭირთ. ისინი ხშირად ვერ აცნობიერებენ და ამიტომ, არცთუ იშვიათად, არღვევენ საზოგადოებაში მიღებულ ნორმებს. მათ მარტო ყოფნა ურჩევნიათ, რადგან სხვა ადამიანებთან ურთიერთობით სიამოვნებას ვერ იღებენ. აუტიზმით დაავადებულმა ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება საერთოდ არ ილაპარაკოს ან სიტყვაძუნწობით გამოირჩეოდეს. ჩვეულებრივ, მათ ესმით, რასაც სხვები ეუბნებიან, მაგრამ თავად სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს ანიჭებენ უპირატესობას, მაგალითად, ნიშნების ენას ან ხილულ სიმბოლოებს.

აუტიზმი მეცნიერებისთვის გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდანაა ცნობილი, მაგრამ ჯერ მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ დადასტურებული ინფორმაცია არ არსებობს. აუტიზმისგან სრულად განკურნება შეუძლებელია, თუმცა დროული აღმოჩენის, დიაგნოსტირებისა და ინტენსიური ქცევითი ტექნოლოგიების გამოყენებით, შესაძლებელია დაავადებულთა სოციალიზაციის ხარისხის მნიშვნელოვნად ზრდა. დადგენილია, რომ აუტიზმის დროული აღმოჩენის, დიაგნოსტიკისა და ადრეული ჩარევის შემთხვევაში, ბავშვების 50-60% სკოლაში სიარულს და უმაღლესი განათლების მიღებასაც კი ახერხებს.

პირველი, რაც გულზე მხვდება ხოლმე, მათი „უნარშეზღუდულებად“ მოხსენიებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ რადგან აუტიზმის სპექტრით არიან დაავადებული, მათდამი ინტერესიც ნაკლებია, მათი შესაძლებლობები აღარავის აინტერესებს. ეს რომ ასე არ არის, ამას „ნამდვილი წვიმის კაცის“, კიმ პიკის ისტორიაც მოწმობს, რომელიც მეცნიერებისთვის ამოუხსნელ ფენომენად იქცა. კიმ პიკი დასტინ ჰოფმანის რაიმონდის პროტოტიპია (რომ არა ის, დასტინ ჰოფმანიც ვერ აიღებდა მეორე ოსკარს). ცნობილია, რომ მას 10 წამში წიგნის ერთი გვერდის წაკითხვა შეეძლო, მაგრამ დამოუკიდებლად პერანგის ღილსაც კი ვერ იკრავდა. წლინახევრის ასაკში ზეპირად იმახსოვრებდა ყველა ზღაპარს, რომელსაც დედა ძილის წინ უკითხავდა და დილით მათ მოყოლას ახერხებდა. მაგრამ ამის პარალელურად, კიმს არ შეეძლო კოვზის დაჭერა, ჭიქიდან წყლის დალევა, კიბეზე ასვლა და ჩაცმა. თავდაპირველად, ექიმები მიიჩნევდნენ, რომ ის აუტიზმით იყო დაავადებული, მაგრამ ფსიქოლოგმა დაროლდ ტრეფერტმა მას დიაგნოზი დაუსვა – სავანტის სინდრომი. ფსიქოლოგმა სწორედ კიმზე დაკვირვების შემდეგ დაწერა ნაშრომი „საოცარი ადამიანები: როგორ გავუგოთ სავანტიზმით დაავადებულებს“. კიმ პიკს ტრეფერტი „მეგასავანტს“ უწოდებდა. მან ზეპირად იცოდა, დაახლოებით 12 ათასი წიგნი, ფლობდა ზუსტ ინფორმაციას გეოგრაფიაში, ისტორიაში, ლიტერატურასა და სხვა მეცნიერებებში; ერთი წამიც არ სჭირდებოდა იმის გასახსენებლად, რომელ წელს, თვეში, რიცხვსა და კვირაში დაიბადა ესა თუ ის ცნობილი ადამიანი; წაკითხული ტექსტიდან ზუსტად შეეძლო დაესახელებინა ასოებისა და პუნქტუაციის ნიშნების რაოდენობა.

მწერალმა ბარი მეროუმ კიმ პიკი 1984 წელს გაიცნო. მისი ფენომენალური ნიჭით აღფრთოვანებულმა გადაწყვიტა ის მსოფლიოსთვის გაეცნო და დაწერა რომანი, რომლის საფუძველზეც, რობერტ ბასის სცენარის მიხედვით რეჟისორმა ბარ ლევინსონმა ცნობილი ფილმი „წვიმის კაცი“ გადაიღო. როცა დასტინ ჰოფმანმა სცენარი წაიკითხა, კიმ პიკის გაცნობა მოინდომა. მართლაც, რამდენიმე თვის განმავლობაში, თითქმის ყოველდღე, კიმ პიკთან ატარებდა და ამ როლისთვის მიღებული ოსკარი – ოქროს ქანდაკება კიმ პიკს აჩუქა. ის მთელი ცხოვრება ინახავდა ჯილდოს, რომელმაც მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა – მამასთან ერთად დაიწყო მსოფლიოში მოგზაურობა, ხვდებოდა ადამიანებს და უყვებოდა საკუთარ თავზე... ძალიან პოპულარული გახდა, მასზე წერდნენ წიგნებს, სტატიებს, იღებდნენ ფილმებს, მეგობრობდა ცნობილ ადამიანებთან. მაგრამ მისთვის საყვარელი ადგილი მშობლიური ქალაქის, სოლტ ლეიკ სიტის ბიბლიოთეკა იყო, სადაც წიგნებს კითხულობდა... 58 წლის „ნამდვილი წვიმის კაცი“ იქცა სიმბოლოდ, თუ რა განსაკუთრებული გონებრივი შესაძლებლობები შეიძლება აღმოჩნდეს ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებში, მათ შორის, აუტისტებში.

ეს, რაც შეეხება ცნობილ ადამიანებს, მაგრამ ჩვენთვის, ალბათ, უფრო საინტერესოა როგორია „წვიმის კაცის“ ქართული რეალობა, შეიცვალა თუ არა მიდგომა ჩვენს ქვეყანაში, 2 აპრილის აღნიშვნის შემდეგ, როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების მხრიდან? როგორ ამოვიცნოთ აუტისტი ბავშვების გარემოსადმი განსხვავებული დამოკიდებულება? როგორ შევამჩნიოთ აუტიზმის პირველი ნიშნები და როგორ შევუმსუბუქოთ მათ ის ყოველდღიური სიძნელეები, რომლებიც თითოეულისთვის თავისებურია? როგორ იღებს საზოგადოება „განსხვავებულ“ ბავშვებს და რომელ საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა? – ამ კითხვებს ბავშვთა ნევროლოგი, ფსიქიატრი **მედეა ზირაქაშვილი** უპასუხებს.

„აუტიზმის გასალეზი სიყვარულია“

მედეა ზირაქაშვილი
ბავშვთა ნევროლოგი, ფსიქიატრი

– ქალბატონო მედეა, რა არის აუტიზმის პირველი ნიშნები და რა სიმპტომატიკით ხასიათდება აუტისტური სპექტრის აშლილობა?

– აუტიზმის სპექტრის აშლილობები მიეკუთვნება ნეიროგანვითარებითი დარღვევების ჯგუფს, რომლებიც, თავის მხრივ, ვლინდება სოციალურ-კომუნიკაციური სფეროს დეფიციტით, ინტერესების შეზღუდვითა და თანმდევი განმეორებადი ქცევების ან აქტივობების პატერნით.

მშობელი ძირითადად პრობლემას ამჩნევს მას შემდეგ, რაც ბავშვი გადაავადებს მეტყველების დაწყების პერიოდს. მეტყველების დაგვიანების გარდა, ძირითადი სიმპტომებია: 9 თვეზე არ არის სოციალური ღიმილი, 12 თვისთვის ბავშვი არ რეაგირებს სახელით დაძახებაზე, არ წარმოებს ან დეფიციტურია: თვალით თვალში მზერითი კონტაქტი, ურჩევნია მარტო თამაში; აქვს ემოციის მიმიკა-ჟესტების საშუალებით გადმოცემის სერიოზული დეფიციტი და სიმწირე. მათ უჭირთ როგორც საკუთარი ემოციის გამოხატვა, ასევე სხვისი ემოციის გაგება. ასევე შესაძლებელია, რომ ბავშვები მეტყველებდნენ, მაგრამ ხშირად დეფიციტურია მეტყველების ფუნქციური გამოყენება. ახასიათებთ მყისიერი ექოლალია – სხვისი ნათქვამის მყისიერი განმეორება ან წარსულში გაგონილი ფრაზების გამოყენება (მოგვიანებითი ექოლალია). მათ უჭირთ დიალოგის წარმოება. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, მივაქციოთ ყურადღება, რამდენად ფუნქციური, კონტექსტურია მათი მეტყველება ან როგორ შეუძლიათ დიალოგის წარმოება; დასმულ შეკითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა. ხომ არ არის მხოლოდ სიტყვების სახელდება – მაგალითად, საგანი დაინახა და მას მხოლოდ ასახელებს. უჭირთ ურთიერთობა თანატოლებთან, აქვთ შეზღუდული ინტერესები, მეტად ინტერესდებიან დეტალებით, საგნებს იყენებენ არაფუნქციურად (აკაკუნებენ და აყურადებენ, აბზრიალებენ და აკვირდებიან, თვალების წინ ატარებენ ერთი მიმართულებით).

რაც შეეხება ასაკს, თუ რომელი ასაკიდან შეიძლება სიმპტომების აღმოჩენა, მშობელმა, შესაძლოა,12 თვიდან შეამჩნიოს, მაგრამ, როგორც წესი, წლინახევრიდან ორ წლამდე ასაკის ბავშვების მშობლები მოგვმართავენ.

კლინიკური გამოვლინებით აუტიზმის სპექტრის აშლილობა ძალიან ვარიაბელურია – სწორედ ამიტომ ჰქვია სპექტრული აშლილობა. როგორც ცისარტყელას სპექტრია გარდამავალი ფერებით, ასევე გარდამავალია აუტისტური სიმპტომატიკა. ვიღაც, თავისი გამოვლინებით, შეიძლება იყოს ძალიან დაბალფუნქციური, არ მეტყველებდეს, უჭირდეს მიმიკა-ჟესტები და ა.შ. ვიღაც კი ისეთ დონეზე იყოს, რომ ძალიან გვიან ასაკში მოგვაკითხოს და მხოლოდ სოციალური ინტერაქციის ხარისხობრივი დეფიციტით გამოიხატოს პრობლემა, რომელსაც მხოლოდ სპეციალისტები თუ შენიშნავენ. ასე რომ, კლინიკა ძალიან ვარიაბელურია, ისევე, როგორც პროგნოზი და მიმდინარეობა.

„წითელი დროშები“, ასე აღინიშნება ადრეული სიმპტომების ჩამონათვალი სფეროების მიხედვით, რომელთა შესახებ ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მოსახლეობისთვის, რადგან უფრო ადრე მიმართავს სპეციალისტს.

– როგორია სტატისტიკა საქართველოში?

– მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით, 68 ბავშვში ერთს აუტიზმის სპექტრის აშლილობა აქვს, აქედან ბიჭებში 5-ჯერ მეტია ალბათობა, ვიდრე გოგონებში. CDC მონაცემებით ითვლება, რომ 42 ბიჭში ერთს აუტიზმი აქვს, 189 გოგონადან – ერთს.

საქართველოში სტატისტიკა მხოლოდ 2007-2008 წლების მონაცემებით შემოიფარგლება, როდესაც ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციამ ჩაატარა პილოტური კვლევა. გამოკვლეულ იქნა სამი უბანი – ვაკე, საბურთალო და დიღომი, ეს მონაცემები მაშინ აბსოლუტურად ემთხვეოდა გავრცელებას – 110 ბავშვში ერთს ჰქონდა აუტიზმის სპექტრის აშლილობა, შესაბამისად ითვლებოდა, რომ მხოლოდ ერთი პროცენტი იყო და ეს პრევალირება ეპილეფსიის გავრცელების ტოლი იყო. ძალიან მალე, სამწუხაროდ, სავალალო სურათი მივიღეთ – გასულ წლის მონაცემებით, ყოველი 68 ბავშვიდან ერთს აუტისტური სპექტრის აშლილობა აღენიშნა, რაც იმის მანიშნებელია, რომ რიცხვი სწრაფად

აუტიზმის საერთაშორისო დღე

იზრდება. რაც შეეხება წლევანდელი წლის მიმართვიანობას, ზუსტი სტატისტიკა ჯერ არ გვაქვს.

– როგორ ხდება დიაგნოსტირება, მკურნალობის რა საშუალებები არსებობს და ვის უნდა მიმართოს დედამ, თუ შვილს აუტისტური სპექტრის აშლილობის სიმპტომები აღმოაჩნდა?

– მენტალური ჯანმრთელობის პროგრამის ფარგლებში, მოქმედებს დიაგნოსტიკური პროგრამა – აუტისტური სპექტრის აშლილობის დიაგნოსტიკა. გვაქვს ერთკვირიანი პროგრამა და ამ პერიოდში, მულტიდისციპლინურ გუნდთან ერთად, რომელშიც ჩართული არიან: ფსიქიატრი-ნევროლოგი, კლინიკური ფსიქოლოგი, ქცევითი თერაპევტი, ხელოვნებითი თერაპევტი, ფიზიკური თერაპევტი და ა.შ., ვახდენთ პაციენტის დიაგნოსტიკურ შეფასებას და ვამისამართებთ ინტერვენციაზე. პროგრამის ფარგლებში, ერთი თვის განმავლობაში, 27 პაციენტის მიღება შეგვიძლია, აქედან, ბუნებრივია, ყველას აუტისტური პრობლემა არ აქვს (ზოგიერთი მეტყველების, ზოგიც სასკოლო უნარ-ჩვევების დარღვევებით, რთული ტიკებით, შფოთვითი აშლილობებით და ა.შ.). 27 პროგრამული პაციენტიდან გარკვეული წილი აუტისტურ პაციენტზე მოდის. თუ მივიტანთ ეჭვს აუტისტური სპექტრის აშლილობებზე, ერთი კვირის განმავლობაში, ვიწყებთ დიაგნოსტიკისთვის მუშაობას.

ბუნებრივია, დიაგნოსტიკა ყველგან არ ხდება და ყველას არ შეუძლია, ამას მხოლოდ და მხოლოდ კვალიფიციური კადრები ახდენენ, რომლებსაც დიაგნოზის დასმის ოქროს სტანდარტი აქვთ. ეს არის გარკვეული ინსტრუმენტული ტესტები – ADOS და ADI-R. პირველი ქცევაზე დაკვირვების ტესტია, ხოლო მეორე – ორსაათიანი ინტერვიუ პაციენტის მშობელთან, რომელიც 93 შეკითხვას აერთიანებს. საბოლოო ჯამში, სწორედ ამ ტესტზე დაყრდნობით, ვსვამთ დიაგნოზს. ინტერვიუს, პრაქტიკულად, არაფერი არ გამოეპარება. ერთია, რა ინფორმაციას გვაწვდის მშობელი და მეორე, რას ვხედავ მე. ამიტომ ეს ორი ტესტი ერთმანეთს ავსებს და, საბოლოოდ, დიაგნოზამდე მივყავართ. რა თქმა უნდა, მთავარი მაინც კლინიკური მსჯელობაა, ამიტომაც ვრთავთ მულტიდისციპლინურ გუნდს, რომელიც თავისი პროფილის თვალსაზრისით შეისწავლის თითოეულ ბავშვს. წარმოიდგინეთ, ბავშვი გარკვეულ პერიოდს ატარებს ქცევით თერაპევტთან, ფსიქოლოგთან, ხელოვნებით თერაპევტთან, ანუ, რაც ერთს გამორჩება, სხვა სპეციალისტი აუცილებლად შეავსებს. აქედან გამომდინარე, შეფასება და მიდგომა ძალიან ჰოლისტურია. შეფასების პროცესში ვმუშაობთ ძლიერი და სუსტი მხარეების, ზოგადად რესურსის გამოსავლენად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ინტერვენციის პროცესისთვის. ინტერვენციას, ანუ ჩარევას აღნიშნული პრობლემის დროს ახორციელებენ ძირითადად ქცევითი თერაპევტები, პროცესში ერთვება ასევე სხვადასხვა სპეციალისტი, ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე – ხელოვნებით თერაპევტები, მეტყველებით თერაპევტები და ა.შ.

– მკურნალობის რომელ მეთოდს ანიჭებთ უპირატესობას და რა მნიშვნელობა აქვს ადრეულ დიაგნოსტირებას?

– ჩვენ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მომხრენი ვართ, აქედან გამომდინარე, მედიკამენტებს, პრაქტიკულად, არ ვიყენებთ. მსოფლიო გამოცდილებაც ასეთივეა – მინიმალური მედიკამენტი და მინიმალური ქიმიური ჩარევა, შედეგები კი – ფრიად ხელშესახები. მაგალითად, 2014 წლის კვლევებით, დიაგნოზის მოხსნა და ოპტიმალური გამოსავალი შესაძლებელია უკვე დიაგნოსტირებულთა 9%-ში. ითვლება, რომ ადრეული ინტერვენცია, ანუ სამ წლამდე დაწყებული თერაპია პაციენტთა 50%-ში საგრძნობლად აუმჯობესებს შედეგს. სწორედ ამიტომ ადრეული ნიშნების ამოცნობა პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმების, ბაღის აღმზრდელების, ზოგადად მშობლების პრიორიტეტია, რათა მათ ადრეულ ასაკში გადაამისამართონ ბავშვი სპეციალიტთან და დაიწყონ თერაპია.

იმის ილუზია, რომ გარკვეულ შედეგამდე მისვლას კვირა ან თვე სჭირდება, არ უნდა გვქონდეს. ხშირ შემთხვევაში, თერაპიას წლები სჭირდება. მთავარია, ბავშვებს სწორად მიეწოდოთ სასწავლო ინფორმაცია. მაგალითად, ქცევის გამოყენებითი ანალიზი (ABA) არის თერაპია, რომელსაც ჩვენ აქტიურად ვიყენებთ, რა თქმა უნდა, თერაპიის სხვა სახეობების ჩართვით, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. მას მნიშვნელოვანი კვლევითი საფუძველი აქვს. კვლევები ადასტურებს, რომ მეთოდი კარგად მუშაობს და ეფექტურია, ჩვენ მართლაც ვიღებთ სერიოზულ გაუმჯობესებას, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვანია. თერაპიის ხანგრძლივობა, როგორც გითხარით, ძალიან ინდივიდუალურია და დამოკიდებულია რესურსზე. კეთილსაიმედო პროგნოზს რამდენიმე კომპონენტი განსაზღვრავს – კარგი ინტელექტი, ადრეულად გამოვლენილი პრობლემა, კარგი საწყისი კომუნიკაციური უნარები და ადრეულად დაწყებული თერაპია. გვაქვს შემთხვევები, როცა ნაბიჯ-ნაბიჯ, წლების განმავლობაში, ნელა მივიწევთ წინ; გვაქვს ასევე შემთხვევები, როცა სწრაფად შეიძლება დადგეს გაუმჯობესება, ბუნებრივია, რამდენიმე კვირას ან დღეს არ ვგულისხმობ.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დიაგნოსტიკური ტესტებით შეფასება აბსოლუტურად უფასოა. თერაპია, ჯერჯერობით, არ ფინანსდება, მაგრამ აქტიურად განიხილება აუტიზმის დაფინანსების საკითხი მერიაში, ინტენსიურად ჩაერთვება ქალაქის საკრებულოც. იმედია, მალე გვექნება პროგრამა ამ ბავშვებისთვის.

– როგორია თქვენი პოზიცია ინკლუზიურ სწავლებაში აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბაშვების ჩართვის შესახებ? რომელ საგანმანათლებლო დაწესებულებას მისცენ მშობლებმა უპირატესობა?

– რაც შეეხება ინკლუზიურ განათლებას, ეს ბავშვები მაქსიმალურად უნდა იყვნენ ინტეგრირებული სკოლაში, თუმცა საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი ამ კუთხით. კადრები ჯერჯერობით არ არიან მზად აუტიზმის დიაგნოზის მქონე ბავშვების მისაღებად, მშობლებისგან რა ინფორმაციაც მაქვს, რეალურად ამ ბავშვებისთვის პროგრამის შექმნა არის უბრალოდ მასალის და სკოლაში გატარებადი დროის ხანგრძლივობის სეკვესტრაცია.

წესით, მთელ ევროპაში მიღებულია, რომ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებმა ჩვეულებრივ საჯარო სკოლებში ისწავლონ, ინკლუზიური განათლებაც ხომ სწორედ ამას გულისხმობს. მაგალითად, არის ერთ-ერთი ასეთი გამოცდილება, რომ მათ დაყვებათ ქცევითი თერაპევტი, სპეცპედაგოგი ან სპეციალისტი, რომლებსაც „აჩრდილებს“ უწოდებენ. ისინი სკოლებში მუდმივად ბავშვების გვერდით არიან და ასწავლიან, როგორ მოიქცნენ ადეკვატურად ამა თუ იმ ვითარებაში; ახდენენ მათი ქცევის მსუბუქ კორექციას – ასწავლიან, როგორ ჩაერთონ სოციუმში. რა თქმა უნდა, საქართველოში ასეთი მეთოდისგან ძალიან შორს ვართ. ბავშვები, წესით, საჯარო სკოლებში უნდა სწავლობდნენ, სადაც პედაგოგები მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ აუტისტი ბავშვები მიიღონ და მაქსიმალურად შეუწყონ ხელი, ადეკვატურ ინტეგრირებას მათივე ასაკობრივ კატეგორიასთან. ეს უმნიშვნელოვანესია, რადგან ეს ბავშვები ძალიან ბევრ რამეს ცვლიან არა მარტო საკუთარ თავში, არამედ სხვა ბავშვებშიც. მათი თანატოლები სხვაგვარად ემპათიურები ხდებიან, თანაგრძნობა და თანადგომა უჩნდებათ განსაკუთრებული საჭიროების მქონე თანატოლების მიმართ. მსგავსი მიდგომა მართლაც შეუწყობს ხელს, ისეთი თაობის აღზრდას, რომელიც რეალურად ამ პრობლემებთან ერთად გაიზარდა და კარგად იცის როგორ მოექცეს გვერდით მყოფ აუტიზმის სპექტრის მქონე თანაკლასელს თუ მეგობარს.

– რამდენად არიან რეალიზებული აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანები? როგორია, ამ მხრივ, მსოფლიო გამოცდილება?

– ძალიან საინტერესო ტენდენციაა „აუტიზმი ევროპა“, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ შეჩერდეს დისკრიმინაცია, რომ ამ ადამიანებს ისეთივე უფლება აქვთ იყვნენ დასაქმებულები, როგორც დანარჩენებს. ფაქტია, რომ ეს პრობლემა მთელი მსოფლიოს მასშტაბითაა, რადგან დღესდღეობით ასეთი აქტუალურია. რა თქმა უნდა, აუტისტური სპექტრის აშლილობების მქონე პაციენტების დიდი რაოდენობა ახერხებს საკუთარი თავის რეალიზებას და მათ შეუძლიათ, გახდნენ წარმატებულები. მათ ამის უნარი შესწევთ, თუკი განვითარებისთვის ადეკვატური გარემო და ხელშეწყობა ექნებათ.



– როგორ რეაგირებენ მშობლები დიაგნოზზე?

– ძალიან რთულად არის ჩვენს ქვეყანაში მშობლების მხრიდან მიმღებლობის საკითხი. თავიდან, როცა დიაგნოზს ვსვამთ და მშობლებს ვაცნობთ, მათი მხრიდან აგრესიასაც კი ვიღებთ - არ უნდათ ეს დიაგნოზი, ურჩევნიათ სხვა ნებისმიერი. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არიან მზად ამისთვის. არა აქვს მნიშვნელობა ემპათიის დონეს, თუ ერთისთვის გვყოფნის ემპათია, მაშინ მეორისთვისაც გვეყოფა. მაგრამ, ვიღაც ამას უფრო ადეკვატურად იღებს, ვიღაცისთვის კი საერთოდ მიუღებელია. ერთმნიშვნელოვნად თქმა გამიჭირდება, მაგრამ მაინც ვიტყვი, უმეტესობა მზადაა, ყოველ შემთხვევაში, პირველ ვიზიტზე თუ არა, განმეორებით ვიზიტებზე მაინც. საბოლოოდ კი, მივდივართ მიზნისკენ – აღიარონ პრობლემა, ადეკვატურად ჩაერთონ პროცესში და მეტი ინფორმაცია, ფსიქოგანათლება მიიღონ ამ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ერთობლივი ძალისხმევით, მეტ-ნაკლებად, ვახერხებთ, რომ ბავშვის აღზრდა სწორად წარიმართოს.

– განეკუთვნება თუ არა გენეტიკურ დაავადებათა რიცხვს აუტისტური სპექტრის აშლილობა?

– სულ უფრო ბევრს საუბრობენ აუტიზმზე, როგორც ეპიგენეტიკურ სინდრომზე. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება გენეტიკური ინფორმაცია, ამა თუ იმ მდგომარეობასთან დაკავშირებით, გადაეცემოდეს თაობიდან თაობას, მაგრამ ხელშემწყობი ფაქტორების ზედდება თუ არ მოხდა გარემოს მხრიდან, შესაძლოა ეს პრობლემა კლინიკურად არ გამოვლინდეს.

– საზოგადოებაში არაერთი მოსაზრება არსებობს, რომელიც აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანს წამოგვიდგენს, როგორც ძალიან აგრესიულს ან განსაკუთრებული უნარების მქონეს, შეესაბამება თუ არა ეს სინამდვილეს?

– ძალიან მინდა დაიმსხვრეს სტერეოტიპები, რომ აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვები აგრესიულები არიან, აქვთ ქცევითი დარღვევები და ა.შ. ასეთ ბავშვებს შეიძლება ჰქონდეთ ქცევითი დარღვევები, მაგრამ აუცილებლობა ამისი არ არსებობს, მეტიც, მათი უმეტესობა ძალიან კეთილგანწყობილია.

მითია, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანებს განსაკუთრებული უნარები აქვთ. მათ განსაკუთრებული ინტერესები აქვთ და ამ ინტერესების ირგვლივ უამრავ ინფორმაციას ფლობენ. მაგალითად, მაღალფუნქციური აუტისტური სპექტრის დროს მათ აქვთ ენციკლოპედიური ცოდნა მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ასეთ უნარებს ნაკლებად ვხვდებით. გამონაკლის შემთხვევაში, გარკვეული უნარები ისეთივე სიხშირით აღინიშნება, როგორც სხვებთან.

– რეალურად რა შეცვალა 2-მა აპრილმა?

– საქართველოში პირველად, ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციამ, 2007-08 წლებში, დავიწყეთ მუშაობა აუტიზმის სპექტრის აშლილობებზე. გრანტული დაფინანსების ფარგლებში, შევიძინეთ დიაგნოსტიკური ტესტები. უცხოეთში მომზადნენ სპეციალისტები. დავიწყეთ პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმების გადამზადება, რამაც მომართვიანობა გაზარდა. 2007 წლის დეკემბერში გაერთიანებული ერების ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომ 2 აპრილი გამოცხადებულიყო აუტიზმის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების დღედ, 2011 წლიდან, საქართველოში, დაიწყო 2 აპრილის აღნიშვნა.

ჩვენი ცენტრი, ყოველ 2 აპრილს, ამ ბავშვებისთვის აწყობს ღონისძიებას. წელსაც ზოოპარკში ვგეგმავთ, მათთან ერთად, ამ დღის აღნიშვნას. გვინდა, მშობლებს, საზოგადოებას მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ. როცა პირველად აღვნიშნეთ 2 აპრილი, 3 მშობელი ძლივს დავითანხმეთ, რომ ჩართულიყვნენ ამ ღონისძიებაში, წელს კი, მინიმუმ, 150 ბავშვს ველოდებით. აი, ეს გააკეთა 2-მა აპრილმა – ცნობადობა გაზარდა და დამოკიდებულებაც რეალურად შეცვალა.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

P.S. წლევანდელი 2 აპრილი ნეიროგანვითარების ცენტრმა თბილისის ზოოპარკში საქველმოქმედო ღონისძიებით აღნიშნა, რომელსაც 150 აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვი დაესწრო. ღონისძიებას ძალიან თბილი სლოგანი ჰქონდა – „აუტიზმის გასაღები სიყვარულია“. ვეცადოთ, ყველამ ვიპოვოთ ეს გასაღები.

ПРОФЕСИА ПЕДАГОГ

პროფესია, რომელიც ქვეყნის მომავალს განსაზღვრავს

სოფელი სნო ზღვის დონიდან 1760 კილომეტრზე მდებარეობს. 2002 წლის მონაცემებით, სოფელში 418 კაცი ცხოვრობს. სოფლის დაარსება და მისი განაშენიანება-განვითარება ღუდუშაურების გვარს უკავშირდება. ღუდუშაურების პირველი საცხოვრისი სოფელი კვირაის ძალთაი ყოფილა, შემდეგ იქიდან წამოსულან და იქვე ახლოს დასახლებულან. სოფლისთვის, თავიანთი წინაპრის პატივსაცემად, სნო დაურქმევიათ, ხოლო ძველი ნამოსახლარი, მთაში გავრცელებული ტრადიციის მიხედვით, სალოცავად გაუხდიათ. გადმოცემის თანახმად, ღუდუშაურების წინაპარს, სნოს, ალანელებთან ომში გამოუჩენია თავი. მამაცობის სანაცვლოდ, ვახტანგ გორგასალს მისთვის ციხის აშენების ნება დაურთავს და ვაჟიშვილიც მოუნათლავს, რომლისთვისაც ღუდუშა უწოდებია. აქედან იღებს სათავეს ღუდუშაურების გვარი. ხევში, დროთა განმავლობაში, თითქმის ყველა სოფელმა იცვალა იერ-სახე, სნო კი ისევ ისეთია, ლამაზი, სუფთად დაგვილი ვიწრო ქუჩებით, ფლეთილი ქვის ლამაზი წყობით აშენებული სახლებით, მოხდენილი და ნიჭიერი ხალხით. აქ, თითქმის, ყველა პოეტია. გარეთ, სოფლის საფიხვნოზე – „ერობაში“ – მჯდომი რომელიმე მოხევე რაიმე ამბავთან დაკავშირებით ლექსს წამოიწყებს, გარითმავს ერთ სტროფს, შემდეგ მეორე ჩამოართმევს სიტყვას და მეორე სტროფს მიამატებს და ასე... სხვა სოფლიდან მოსული სტუმარი სიტყვის თქმას უფრთხილდება, ასჯერ აწონ-დაწონის – „სნოველებმა ლექსი არ გამამათქონო“...

სანაქებო წარსულის სოფელს სკოლაც ხანდაზმული და დიდი ტრადიციების მქონე აქვს.

სნოს სკოლა (დღეს არსებულ შენობაში) 1903 წელს დაარსებულა და, თავდაპირველად, დაწყებით საფეხურს მოიცავდა – I-IV კლასებს. ორსართულიანი შენობა სოფლის მოსახლეობას აუშენებია. აქ ნიკოლოზ ღუდუშაური (ბუშკიეთი) ასწავლიდა, რომელსაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან ჰქონია კავშირი. წლების განმავლობაში ნიკოლოზ ღუდუშაური უხელფასოდ მუშაობდა და გაჭირვებული ოჯახის შვილებისთვის თავისი ფულით იძენდა სასკოლო სახელმძღვანელოებსა და რვეულებს. ნიკოლოზი შვილმა – ირაკლი ღუდუშაურმა – შეცვალა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას, როგორც ბევრ მის თანამემამულეს, საბჭოთა რეპრესიები შეეხო. ირაკლი სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ დაავადებული...

მოგვიანებით, დაწყებითი სკოლა 7-წლიანად გადაკეთდა (სნოს სკოლის მოსწავლეები სწავლას ყაზბეგისა და სიონის საშუალო სკოლებში აგრძელებდნენ), 1957 წელს კი – საშუალო სასწავლებლად და 1958 წელს პირველი კურსდამთავრებულებიც ჰყავდა. 1960-იან წლებში სკოლას ვაჟა-ფშაველას სახელი მიენიჭა. სნოელები დღემდე ამაყობენ იმ ტრადიციითა და წესრიგით, რომელიც ოდითგანვე სუფევდა ამ დაწესებულებაში. ამ ისტორიის მოყოლა, რომელიც სნოს სკოლის დირექტორის, ბატონ ტარიელ ფირანიშვილის მოგონებას ეფუძნება, ჩვენი რუბრიკის სტუმრის, გიორგი ნადირაშვილის სურვილია. მართალია, ინფორმაცია სკოლის სასახელო კურსდამთავრებულების ვრცელ ჩამონათვალსაც შეიცავდა, მაგრამ რადგან ამ წერილის მიზანი ახალგაზრდა მასწავლებლის მკითხველისთვის გაცნობაა, შევამცირეთ, თუმცა ჩვენს რესპონდენტთან საუბრით სკოლის ისტორიას ვაგრძელებთ.

სნოს საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი **გიორგი ნადირაშვილი** *პროგრამით „ასწავლე საქართველოსთვის“ წარგზავნილი პედაგოგია, თუმცა აქ მოხვედრას ღვთის წყალობას მიაწერს.*

„ასწავლე საქართველოსთვის“

ღვთის წყალობით და პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის“ მეშვეობით, მოვხვდი სოფელ სნოს სკოლაში. სულ მინდოდა მაღალმთიან რეგიონში მასწავლებლობა, მაგრამ სახვითი ხელოვნების პედაგოგის ვაკანსია არ იყო. როგორც კი ვნახე აღნიშნული ვაკანსია, მაშინვე შევავსე განაცხადი და გავიარე ტესტირება, გასაუბრება. გამიმართლა, რომ ხევში გამანაწილეს და თან ისეთი დიდი ისტორიის მქონე სკოლაში, როგორიც სნოს სკოლაა.

შემთხვევითი არჩევნით მოსული დიდი სიყვარული

უფრო მასწავლებლის პროფესიამ ამირჩია მე, ვიდრე მე – ის, ეს ხუმრობით, თუმცა, მართლა არასდროს მიოცნებია მასწავლებლობაზე. დამთავრების შემდეგ არასოდეს მივსულვარ ჩემს სკოლაში. ბევრ ტკივილთან და ტრავმასთან არის დაკავშირებული სკოლის პერიოდი, რთული დრო იყო ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ მასწავლებლები, რომელთაც ძალიან დიდი და დადებითი როლი ითამაშეს ჩემს ცხოვრებაში, მათმა სიყვარულმაც კი ვერ დამაბრუნა უკან.

სკოლაში, როგორც მასწავლებელი, შემთხვევით მოვხვდი – ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძე და თბილისის №4 საჯარო სკოლაში დავიწყე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლად მუშაობა. მითხრეს, ამ პოზიციიდან უკვე მერამდენე მასწავლებელი წავიდა და იქნებ შენ სცადოო. პირველად გაკვეთილზე 2008 წლის 20 თებერვალს შევედი და მას შემდეგ, აგერ უკვე მერვე წელი დაიწყო, ისევ ამ სფეროში ვარ.

თბილისის №4 საჯარო სკოლაში ჩამოვყალიბდი როგორც მასწავლებელი, თუ შეიძლება, ასე რომ ითქვას. იყო ბევრი შეცდომა, ბევრი ტკივილი და ბევრი სიხარული. ჩემივე შეცდომებზე ვსწავლობდი, შემდეგ კი, როცა საშუალება მომეცა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებზე მოვხვდი, სადაც ბევრი თემა გავიარეთ, მივხვდი, რა ადვილად და უმტკივნეულოდ შეიძლებოდა იმ პრობლემების გადაჭრა, რაც სასწავლო პროცესს ახლდა თან.

2012-დან 2014 წლამდე ვიყავი პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილე, ვმუშაობდი ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ქართული ენის მოხალისე მასწავლებლად.

მერვე წელი დაიწყო, რაც მასწავლებელი ვარ და ყველა ასაკობრივ კატეგორიასთან მიმუშავია. ამჟამად დაწყებით და საბაზო საფეხურებს ვასწავლი – VI, VII, VIIIკლასებს, V და IX კლასები სკოლას არ ჰყავს.

მისტიკური მთის ყოველდღიურობა

სტუდენტობის პერიოდში ხშირად დავდიოდით მთაში ალპინიადებზე, მაშინ შემიყვარდა მთა. იმ პერიოდში რომ გეთქვათ, ოდესმე სნოში მომიწევდა მუშაობა, არ დავიჯერებდი, იმდენად მისტიკური და საოცნებო იყო ჩემთვის მთა. ასე რომ, სიხარულით წამოვედი. შევიძინე ბევრი მეგობარი, თანატოლიც, უფროსიც და უმცროსიც. გაკვეთილების შემდეგ სახლში ჩამოვდივარ, შემდეგ მეგობრებს ვნახულობ, ხან ისინი მოდიან ჩემთან, ხან მე გადავდივარ მათთან. თუ დღესასწაულია, ბიჭებთან ერთად მივდივარ ხოლმე, ახლოს ვეცნობი ტრადიციებს. ერთხელ ღამე წავედით ლომისაზე, ლომისობა იყო.

ხშირად ბიძინა და მინდია სნოველების სახელოსნოში მივდივარ და იქ გვიანობამდე ვრჩები. მათ, სკოლის ბაზაზე, ხეზე კვეთის სახელოსნო შექმნეს, უკვე დააოსტატეს რამდენიმე შეგირდი. ბედნიერებაა სახელოსნოში მათ გვერდით ყოფნა. მოკლედ, ხელოვნების მექაა ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ვგრძნობ, მოსწავლეებს უხარიათ ჩემი დანახვა და ეს ყველაზე დიდი სტიმულია ჩემთვის. ერთხელ ღამე მომიწია სნოში ასვლა, ყინავდა. ნახევრად განათებულ ქუჩას მივუყვებოდი დაღლილი და რაღაც საშინლად სევდიანი. თავში მიტრიალებდა თბილისში დატოვებული შვილის ხმა და ცარიელი სახლი, სადაც მივდიოდი. უცებ უკნიდან თბილი, სიცოცხლით სავსე ხმა მომესმა – „გამარჯობა, გიორგი მასწავლებელო“, მივტრიალდი, მეექვსეკლასელი საბა იყო, გული გამინათდა. მივესალმე, მოვიკითხე. ცოტა ხანს დამემგზავრა, მაღაზიაში მიდიოდა. მერე დამემშვიდობა. ომახიანად გავაგრძელე გზა, ჩემი დარდი სადღაც გამქრალიყო.

შტრიხები მოხევე მოსწავლეების დასახასიათებლად

კატეგორიებად დაყოფა ძნელია თბილისელი და სხვაგან მცხოვრები ბავშვების. უბრალოდ, ჩემს მოხევე მოსწავლეებზე ვისაუბრებ. საოცრად თბილი და გონებაგახსნილი ბავშვები არიან, მოწესრიგებულები და ზრდილობიანები. მთელი დღე რომ სკოლის ეზოში გაატარო, ერთ უცენზურო სიტყვას ვერ გაიგებ. უყვართ სიახლეები და ადვილად ამყოლები არიან. შაბათობით დამატებით წრეებს ვატარებ და ყოველთვის ესწრებიან, თუ რომელიმე, რაღაც მიზეზის გამო, ვერ მოვიდა, მოსწავლეები თავს ვალდებულად თვლიან შეგატყობინონ. კინომოყვარულთა კლუბი ჩამოვაყალიბეთ, დიდი ინტერესით ესწრებიან ჩვენებებს და შემდეგ განვიხილავთ ხოლმე. ახლა ინტელექტის დღისთვის დავიწყეთ მზადება და დიდი ენთუზიაზმით ჩაერთნენ მოსამზადებელ თამაშებში. ასეთ მოსწავლეებთან მუშაობა ახალი ენერგიით გმუხტავს და მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებისკენ გიბიძგებს.

ეს, უბრალოდ, ჩემი შეხუდულებაა...

მასწავლებლობა ის პროფესიაა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს მომავალს. წარსულში დაშვებულ შეცდომებს დღეს ვიმკით, დღეს დაშვებული შეცდომები კი ხვალ დაგვხვდება წინ და მერე გვიან იქნება გამოსწორება. პირველი პრობლემა მასწავლებლისთვის, ალბათ, დაბალი ანაზღაურებაა. დაბალი ხელფასის გამო კი, მას შემოსავლის დამატებითი წყაროს ძებნა უწევს, უჭირს მთლიანად კონცენტრირდეს სკოლაზე. სკოლას კი ტიტანური ძალები სჭირდება.

მასწავლებლის მდგომარეობა და მისი პროფესიული წინსვლა რომ გაუმჯობესდეს, შევამცირებდი განაკვეთს 15 საათამდე, კლასში მოსწავლეთა ლიმიტს 20-მდე ჩამოვიყვანდი, შეძლებისდაგვარად გავზრდიდი ანაზღაურებას, გავაპიარებდი ამ პროფესიას ახალგაზრდების მოზიდვის მიზნით, ყველა მუნიციპალურ ცენტრში ავაშენებდი მასწავლებლის სახლს, სადაც ჩატარდებოდა სხვადასხვა აქტივობა და, საჭიროების შემთხვევაში, რეგიონში წარგზავნილ მასწავლებლებს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფდი, პედაგოგებისთვის შევქმნიდი უცხო ენის შემსწავლელ უფასო კურსებს და, შეძლებისდაგვარად, ყველა დაინტერესებულ პედაგოგს მივცემდი რომელიმე წამყვან ქვეყანაში გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის საშუალებას. ვიცი, ეს ცოტა დილეტანტურად ჟღერს და ჩემი საუბარი ბავშვურ ოცნებებს უფრო ჰგავს, ვიდრე საქმის ღრმად მცოდნე, სახელმწიფოს მართვის სტრუქტურაში გარკვეული პიროვნების მსჯელობას, მაგრამ ეს უბრალოდ ჩემი შეხედულებაა ამ საკითხთან დაკავშირებით.

თანამედროვე სტანდარტის მოთხოვნა და რეალობა

ტარდება მრავალი ტრენინგი და სემინარი, თუმცა შორეულ რეგიონებში მცხოვრებ მასწავლებლებს, დროის სიმცირისა და მანძილის სიდიდის გამო, უჭირთ აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა. მაგრამ არის სასკოლო ქსელების პროგრამა, რომელიც 2013 წლიდან ხორციელდება და ჩართულია 206 საჯარო სკოლა, მათ ბაზაზე მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის პილოტირება. ქსელში ჩასართავად ერთი რეგიონის 4-5-მა სკოლამ უნდა შეიტანოს განაცხადი. წელს ჩვენმა სკოლამაც შეავსო აღნიშნული განაცხადი და პასუხს ველოდებით.

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესახებ ძალიან ბევრს ვკითხულობ, ვხვდები კრიტიკულ და დადებით შეფასებებსაც. რა შედეგის მომტანი იქნება, ამას ყველაზე კარგად დრო გვიჩვენებს. აუცილებელია გარე შეფასების ჯგუფებისთვის კვალიფიციური კადრების მომზადება, რომელთაც ეყოფათ კომპეტენცია მასწავლებლის აქტივობის ადეკვატურად შესაფასებლად.

პროფესიონალი პედაგოგი

პროფესიონალი პედაგოგი მუდმივად უნდა იყოს მაძიებელი (და ამისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს, მატერიალურად და მორალურად, სახელმწიფოს მხრიდან), სიახლისთვის ღია, ყველა გაკვეთილზე უნდა სწავლობდეს მოსწავლესთან ერთად და ივითარებდეს უნარებს, არ ეშინოდეს შეცდომის აღიარების და იმის, რომ რაღაც შეიძლება არ იცოდეს. ზრუნავდეს საკუთარ და კოლეგების განვითარებაზე, უზიარებდეს გამოცდილებას სხვებს. შეეძლოს ბავშვის თვალითაც აღიქვას სამყარო და არ შეეშინდეს გამოწვევების, რასაც დღევანდელი სამყარო ხშირად გვიყენებს.

არ მოგწონთ ქვეყანა? დარჩით და შეცვალეთ მომავალი

მასწავლებლის პროფესია ახალგაზრდებმა იმიტომ უნდა აირჩიონ, რომ ის რაც არ მოსწონდათ სკოლაში, თვითონ შეცვალონ. რაც დააკლდათ, თვითონ მისცენ სხვებს. გაიაზრონ, რომ ამ სფეროს განვითარების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის მომავალზე საუბარი და დღეს თითოეული მათგანი სჭირდება სკოლას. აღარ არის დრო სხვისკენ ხელის გაშვერის და გადაბრალების. დროა, ყველამ – მასწავლებელმა, მოსწავლემ, მშობელმა – ერთად გაიაზროს არსებული მდგომარეობა, ერთმანეთის დახმარებით, ერთმანეთის აზრის გათვალისწინებით, შექმნან უსაფრთხო და სანდო გარემო, სადაც ჩვენი შვილები სრულფასოვანი განათლების მიღებას შეძლებენ, სადაც არავის ექნება შიში, სადაც განსხვავებული აზრისთვის არავინ დასცინებთ და მიაყენებთ შეურაცხყოფას. დროა გავიგოთ, რომ ეს ჩვენი ქვეყანაა და თუ როგორ დღეშია ის, ეს ჩვენი პასუხისმგებლობაცაა. არ მოგწონთ ქვეყანა? დარჩით და შეცვალეთ მომავალი. მაგრამ ამისთვის სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული მხარდაჭერაა საჭირო. პირველ რიგში, უნდა გაუმჯობესდეს პედაგოგთა შრომითი ხელშეკრულებები. იცოდეს ახალგაზრდამ, რომელიც მოსვლას აპირებს სკოლაში, რომ ამ ხელფასით ფინანსურად უზრუნველყოფს ოჯახს, შვილს მისცემს ხარისხიან განათლებას; წელიწადში ერთხელ მაინც შეძლებს ოჯახი წაიყვანოს დასასვენებლად; ხუთ წელიწადში ერთხელ შეეძლება აიღოს ანაზღაურებადი ერთწლიანი შვებულება. ამაზე კარგი პიარი რა შეიძლება იყოს, ამჟამად არ მაფიქრდება.

უბრალოება და სიყვარული

სიყვარულის გარეშე შეუძლებელია საუბარი რაიმე განვითარებაზე. ადამიანს, რომელიც სკოლაში მიდის, უნდა უყვარდეს ბავშვი, უნდა შეეძლოს ნებისმიერ ასაკში წაიკითხოს ასტრიდ ლინდგრენი და აღფრთოვანდეს, სამყარო დაინახოს ბავშვის თვალით. ვცდილობ, ისეთი მასწავლებელი ვიყო, როგორიც მინდა, რომ ჩემს შვილს ჰყავდეს. ვიღაც მთვარეზე ტოვებს ნაკვალევს, ვიღაც კი უფრო საოცარ ადგილას – ბავშვის გულში.

მოამზადა ლალი ჯელაძემ

პედაგოგთა დასახმარებლად

მეგი როსტიაშვილი-წიკლაური

რუსული ენა

ИНТЕГРАЦИЯ РАЗЛИЧНЫХ ВИДОВ РЕЧЕВОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ НА УРОКАХ РКИ

Продолжение

План урока №2

Число	
Предмет	Русский язык
Учитель	Ростиашвили-Циклаури Меги Робинзоновна
Тема урока	*Рассказ Ю.Андреева «Откровенный разговор».*
Количество учеников	25
Класс/уровень	XI(ს-V)
Цель урока	• Выработать у учащихся навык использования необходимых стратегий чтения для понимания содержания текста. • Выработать навык излагать собственные мысли, впечатления и отношение к данному вопросу в устной и письменной форме.
Связь со Стандартом	**უცხ.ს.V.6. მოსწავლეს შეუძლია ადაპტირებული მოთხრობის/ნოველის წაკითხვა და გაგება.** **უცხ.ს.V.8. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების, ნასწავლი ენობრივი ფორმებისა და მათი ფუნქციის ამოცნობა შინაარსიან კონტექსტში.** **უცხ.ს.V.10. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას საკითხავი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად.** **უცხ.ს.V.11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს ესე/წერილი, რომელშიც გადმოსცემს საკუთარ შთაბეჭდილებებს, თვალსაზრისს *(მაგ., მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, გამოხმაურებას ნანახ სპექტაკლზე/ჩატარებულ ღონისძიებაზე და სხვ.).*** **უცხ.ს.V.15. მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობა მისთვის ნაცნობ თემებზე, საკითხებზე.** **უცხ.ს.V.11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს ესე/წერილი, რომელშიც გადმოსცემს საკუთარ შთაბეჭდილებებს, თვალსაზრისს *(მაგ., მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, გამოხმაურებას ნანახ სპექტაკლზე/ჩატარებულ ღონისძიებაზე და სხვ.).***
Задачи урока	• Выработать у учащихся навык определения и группировки различных фраз и слов по данной теме. • Выработать у учащихся навык выделять основную, информацию из текста. • Выработать у учащихся навык вероятностного прогнозирования. • Выработать у учащихся навык нахождения сходств и различий в тексте. • Выработать у учащихся навык изложения собственных мыслей, впечатлений и отношения к данному вопросу в устной форме. • Выработать у учащихся навык изложения собственных мыслей, впечатлений и отношения к данному вопросу в письменной форме.
Результаты урока	• Учащиеся могут использовать необходимые стратегии чтения для понимания содержания текста. • Учащиеся могут излагать собственные мысли, впечатления и отношение к данному вопросу в устной и письменной форме.
Описание активностей/последовательность урока	I. Организационный момент. II. Основная часть урока. 1) Ученики смотрят видеосюжет «Самые трудные профессии».(3 мин.) • Как вы считаете, какая профессия является самой трудной? Обсуждение. (3 мин.) 2) Класс делится на группы. Каждый ученик получает задания. Ученики выполняют лексические упражнения индивидуально. Обсуждают в группе.Читают ответы. (3 мин.) **1.Соедините слова (синонимы / антонимы). Впишите ответы в таблицу**

1. старшим	А) матери
2. ближе	Б) младшим
3. отцы	В) горе
4. желают	Г) нравится
5. применения	Д) хотят
6. трудная	Е) понятнее
7. радость	Ж) реализация
8. предположим	З) лёгкая
9. удовлетворяет	И) допустим

Впишите ответы в таблицу.

1	2	3	4	5	6	7	8	9
Б	Е	А	Д	Ж	З	В	И	Г

2.Соедините фразы. Впишите ответы в таблицу. (3 мин.)

1. хочется поговорить	А) даже незначительный успех
2. твой опыт будет им ближе	Б) работа помогает поверить в себя
3. многое зависит от твоих человеческих ресурсов	В) заниматься любимым делом-счастье
4. пусть малая, но победа в своём деле	Г) работа, которая тебе нравится
5. работа-основа для уверенности в себе	Д) каждый труд по-своему тяжёл
6. хорошая работа дорога тебе самому	Е) поделиться своими мыслями
7. работа, которая тебе по душе	Ж) большая часть дела – подготовительнаяработа
8. каждый труд имеет свою черновую сторону	З) многое зависит от твоих возможностей
9. большая часть дела – черновая	И) на твоём примере им будет понятнее

Описание активностей/последовательность урока

Впишите ответы в таблицу.

1	2	3	4	5	6	7	8	9
Е	И	З	А	Б	В	Г	Д	Ж

3. Ученики читают текст и выполняют задание 3. (13 мин.)

Письмо сыну

Мне хочется поговорить с тобой, старшим сыном. А с младшим братом и сестрой лучше будет поговорить тебе – твой опыт будет им ближе. Я как твой отец, как все отцы и матери мира, которые желают добра своим детям, хочу чтобы ты был счастлив. Я думаю,что и ты сам этого хочешь.

Но как быть счастливым?

Многое зависит от твоих человеческих ресурсов и их применения. Ты должен видеть жизнь такой, какая она есть, чтобы делать её такой, какой она должна быть.

Ты скоро будешь работать. Работа должна быть интересна для тебя, а интересная работа всегда бывает трудной. Если она нетрудная, она неинтересная. Каждому человеку необходима пусть малая, но победа в своём деле. Это приносит естественную радость. Хорошая работа – основа для уверенности в себе. Хорошая работа дорога тебе самому, она нужна людям.

Ну вот предположим, что ты нашёл работу, которая тебе по душе. Предположим, что она удовлетворяет и радует тебя. Но дело в том, что ни практически, ни теоретически не существует такой работы,которая вся, от начала до конца, способна приносить лишь наслаждение. Абсолютно каждый труд имеет свою черновую сторону.

Большая часть дела – черновая, подготовительная, тренировочная. А если эта часть работы окажется для тебя нелюбимой? И появится чувство неудовлетворённости?

Я хочу, чтобы ты уже сейчас знал, что работа, которую мы выбираем, как медаль, имеет две стороны, и от этого никуда неуйдёшь. И одна сторона – это чувство радости и удовлетворения, а другая сторона – чувство долга и обязательная добросовестность исполнения. Та сторона медали,на которой написано слово «долг», обязательно существует с другой, на которой написано слово «удовлетворение». И если ты это поймёшь теперь, ты будешь добросовестно и качественно исполнять любую работу – это принесёт тебе радость и удовлетворение в жизни. И ты будешь счастлив в работе. А это очень много значит для человека.

(По книге Ю.Андреева «Откровенный разговор»)

Вопросы	Выберите правильный вариант/дополните ответы
1. С кем хотелось поговорить отцу?	**а) со старшим сыном** б) с младшим сыном
2. Что желал сыну отец?	....
3. Какой должна быть работа?	**а) интересной,трудной** б) лёгкой, весёлой
4.Что необходимо каждому человеку?	а) большой успех **б) пусть малая, но победа в своём деле**
5. Что значит хорошая работа?	....
6.Отец считает,что...	а) любой труд приносит человеку радость и наслаждение, если только захотеть. **б) ни практически, ни теоретически не существует такой работы, которая вся, от начала до конца, способна приносить лишь наслаждение.**
7. Работа, которую мы выбираем, как медаль, имеет...	**а) две стороны** б) одну сторону
8. В чём основная суть рассказа?	а) человек должен заниматься любимым делом, чтобы быть счастливым **б) заниматься своим делом нужно с большой ответственностью**

4.Составьте небольшой диалог в парах. Спросите своего напарника: «Кем ты хочешь стать?» Разыграйте диалоги. (10 мин.)

III. Заключительная часть урока.

5. Ученикам предлагается написать эссе. (10 мин.)

Напишите небольшое эссе.

• Существует мнение, что если добросовестно и качественно исполнять любую работу – это приносит радость и удовлетворение в жизни. Что думаете по этому поводу Вы? Дайте аргументированный ответ.(30-50 слов).

.....
.....
.....
.....

Оценивание учащихся	Индивидуальные схемы оценки. Оценка учителем групповой работы учащихся. Определяющая индивидуальная оценка каждого ученика по схемам после проверки работ учащихся.
Ресурсы	Видеосюжет, текст, задания, схемы, оценочные схемы, маркеры и листы формата А4.

სასკოლო აქტივობა

ოჯახზე თბილი არაფერია

ეროვნული სასწავლო გეგმის კვალობაზე გაშლილი IV კლასის ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელო, მრავალფეროვანი საინტერესო საგაკვეთილო მასალის გარდა, ბევრი ისეთი აქტივობისკენ გვიბიძგებს, რომელიც კლასგარეშე მუშაობისათვისაც მეტად საინტერესო და პროდუქტიულია.

სწორედ ეს განწყობა დაედო საფუძვლად ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის №3 საჯარო სკოლის ბუნებისმცოდნეობის მასწავლებლის **ნინო გუბელაძის** მიერ ორგანიზებულ საგაზაფხულო ღონისძიებას „ოჯახზე თბილი არაფერია!..“.

ქალბატონმა ნინომ ღონისძიება თავის სადამრიგებლო IV^დ კლასში მოამზადა. იდეის მუხტი იყო სახელმძღვანელოში მოცემული რუბრიკა – „შთამომავლობაზე ზრუნვა“, რომელიც მასწავლებელმა განავრცო მხატვრული და დოკუმენტური მასალით და ოსტატურად დაუკავშირა მოსწავლეთა ოჯახებს – მშობლებსა და ბებია-ბაბუებს, რამაც ჩანაფიქრის ხორცშესხმული სანახაობა მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი გახადა.

მეტად კარგი სანახავი იყო მოსწავლეთა ჩაცმულობა. ბავშვები შემოსილნი იყვნენ „თემატური“ მაისურებით, რომელთაც ამშვენებდა წარწერა: „ოჯახზე თბილი არაფერია!..“ და ფერადი ნახატი, ფრაგმენტი ხალისიანი ოჯახის ცხოვრებიდან (მხიარული ბავშვები, მშობლებთან ერთად, ბუნების წიაღში).

ღონისძიების მიმდინარეობის პარალელურად, სასცენო სანახაობებს ავსებდა დიდ მონიტორზე ნაჩვენები მეტად საინტერესო კადრები, რომლებიც შეეხებოდა ცოცხალ ორგანიზმთა „ოჯახებს“, მათი ცხოვრების წეს-ჩვეულებებს, გაზაფხულის მშვენიერ კადრებს თუ თავად ბავშვების ოჯახურ ლამაზ გარემოს... ყველაფერი ეს ოსტატურად იყო დანაწილებული სცენართან თემატურ შესატყვისობაში და ერთ სიუჟეტურ ქარგაში გახლდათ წარმოდგენილი.

ბავშვებმა მაყურებელს, მონიტორზე გამოხატული მეტად საინტერესო თვალსაჩინოებებით, წარუდგინეს უფლისაგან შექმნილი სამყაროს ცოცხალ არსებათა „ოჯახების“ წეს-ჩვეულებანი:

✓ **მერცხლის** ზრუნვა ბარტყებზე ხომ ყველასთვის ცნობილია. რა რუდუნებით აშენებს ბუდეს, როგორ დაჰხარიან დედა და მამა მერცხალი თავიანთ ნაშიერს, ზრუნავენ, კვებავენ, აფრთიანებენ...

✓ საოცარია **არწივთა** უცნაური წესი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ ერთი ოჯახი რომ ჰყავთ და, თუ მეწყვილე მოუკვდება რომელიმეს, სიმწრით, გლოვის ნიშნად, ტანზე ბუმბულს გაიცლის და თავს ახლის კლდის ქიმს. 40 დღე უსმელ-უჭმელი გლოვობს პარტნიორს და, თუ ვინმე მის ბუდესა და მართვეებს შეეხება, ცოცხალი ვერავინ გადაურჩება.

✓ **ლომების** ოჯახის – პრაიდის წესებიც გაგვაცნეს ბავშვებმა, თუ როგორ ზრუნავენ პრაიდის წევრები ბოკვრების აღზრდაზე. ისინი, როგორც წესი, ოთხ შვილს ზრდიან თავიანთ ოჯახში.

✓ უცნაური ყოფილა **პინგვინების** ოჯახური აღზრდის წესიც: მათ თურმე „საბავშვო ბაღივით“ ჰქონიათ ადგილი, სადაც მიჰყავთ პატარა პინგვინები აღსაზრდელად. იქ, მთელი დღის განმავლობაში, „ძიძა“ ზრუნავს მათზე, სანამ მშობლები თავიანთ ოჯახში წაიყვანენ.

✓ **ფუტკრებიც** ხომ დაუღალავად შრომობენ თავიანთ ოჯახებში. მათთან ყველას თავისი საქმე აქვს დანაწილებული: მუშა ფუტკრები საკვებს აგროვებენ,ზოგი ახალგამოჩეკილ ფუტკარს კვებავს,ზოგი სკას იცავს. თითქოს თავისი პატარა სახელმწიფო აქვთ შექმნილი.

✓ **ჭიანჭველას** შრომას ხომ საზღვარი არა აქვს, ეს პატარა არსებები დაფუთფუთებენ, თავზე ოთხჯერ მეტ ტვირთს აიკიდებენ, მიაქვთ ბუდეში და ოჯახის ყველა წევრს უნაწილებენ საკვებს.

ბავშვებმა გვაჩვენეს, თუ როგორ შეჰხარიან ცოცხალ ორგანიზმთა, მათ შორის, **ადამიანთა** ოჯახები მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, მშვენიერ ბუნებას, იმ ბუნებას, რომელიც ახლა ასე ზეიმობს, როცა გარეთ გაზაფხულს ჯადოსნური მეჯლისი გაუმართავს!...

...და იყო ლექსი, სიმღერა, ჩანახატი... ბავშვები ავლენდნენ დეკლამატორულ უნარებს, საუბრობდნენ მზეზე – სიცოცხლის წყაროზე, ყვავილებზე, მცენარეებზე... წელიწადის ოთხი დრო ლამაზი ინსცენირებით მხატვრულად წარმოაჩინეს – მამა „წელიწადიუსმა“ როგორ მოახდინა თავისი „შვილების პრეზენტაცია“ პუბლიკის წინაშე.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ლიტერატურული მონტაჟი, რომლითაც მოსწავლეებმა უდიდესი მადლიერება და პატივისცემა გამოხატეს უფროსი თაობის, ბაბუა-ბებიების მიმართ.

ანა კუჭუხიძემ დედასთან, ქალბატონ **ნანა ვარდოსანიძესთან** ერთად (ამ უკანასკნელის აკომპანიმენტით) შეასრულა დედისადმი მიძღვნილი შესანიშნავი სიმღერა. კომპოზიტორმა **ნატო ჩიღვინაძემ** ამ ღონისძიებისათვის სპეციალურად დაწერა სიმღერა, რომელიც მთელმა კლასმა შესრულა.

შთამბეჭდავად გაცხადდა მსმენელისა და მაყურებლის წინაშე ღონისძიების მთავარი სათქმელი: „ოჯახზე თბილი არაფერია!..“ სცენარისტ-მასწავლებელს კარგად ჰქონდა დანახული მოსწავლეთა მრავალმხრივი შესაძლებლობები, ამიტომაც სწორად შერჩეული შესატყვისი აქტივობებით წარმოჩინდა მთელი კლასი და ღონისძიებამ დაუვიწყარი სახე მიიღო. აი, იმ მოსწავლეთა სია, რომლებმაც ეს მშვენიერი დღე გვაჩუქეს: ლიკა ახალბედაშვილი, მარი ბაბუნაშვილი, ვაკო ბარდაჩიძე, ნინი გვენეტაძე, ნოდიკო გოგიძე, ლუკა გურგენაშვილი, მარი დოლაბერიძე, ლუკა ენდელაძე, ზვიად კორძაძე, ანა კუჭუხიძე, სესილი კუხიანიძე, ლუკა ლომთაძე, ლუკა მიქაუტაძე, მარი მიქაძე, თორნიკე ნემსაძე, მარიამ პაიკიძე, ლუკა პატარიძე, ლილე რატიანი, ანდრო ტატუნაშვილი, ნინი ფანცხავა, საბა ფორჩხიძე, გუჯა ფხაკაძე, ჯუმბერ ფხაკაძე, თეკლა ყაველაშვილი, დევი ჩიქოვანი, მარი ჩხობაძე, ლუკა წოწონავა, ანინა ჭაბუკიანი, თეკლა ხვარეშია, მარი მეფარიშვილი.

ბავშვებს არც თავიანთი პირველი მასწავლებელი, ქალბატონი **ნარგიზ კუხიანიძე** დავიწყებიათ, გულთბილად გაიხსენეს. ნარგიზა მასწავლებელმა მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს და აღნიშნა, რომ IV^დ კლასი საიმედო დამრიგებლის ხელშია.

ღონისძიების ყველა მონაწილე დაჯილდოვდა სიგელებით.

დამსწრე საზოგადოებამ არ დაიშურა თბილი, საქებარი და სამადლობელი სიტყვები შრომისმოყვარე, დახვეწილი მხატვრულ-ლიტერატურული გემოვნების მქონე მასწავლებლის, ბავშვებისთვის საყვარელი დამრიგებლის, ნინო გუბელაძისა და მისი მოსწავლეების მიმართ. გამოითქვა ღრმა რწმენა იმისა, რომ მსოფლიო გლობალიზაციის შემოტევის ეპოქაში ამ ბავშვებში არასოდეს წაიშლება ქართული მენტალობა – ოჯახური სიწმინდისადმი ზრუნვა და ურთიერთპატივისცემა თაობებს შორის.

ეს დღე – 2015 წლის 13 მარტი – კი ქუთაისის ძირძველი, დიდი ტრადიციების მქონე №3 საჯარო სკოლის ისტორიაში ერთ ლამაზ ფურცლად შევიდა.

მარინე არაბიძე-აშვეთია
სსიპ წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის
მესამე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი

გააზრებული კითხვის გაკვეთილი პირველ კლასში

იაკობ გოგებაშვილი – „მუქთამჭამელა“

თემას თან ახლავს:

1. გაკვეთილის გეგმა
2. საპრეზენტაციო მასალა (ისტ-ის გამოყენებით)
3. მოსწავლეებთან ონლაინრეჟიმში გადასაგზავნი, სამუშაო ტესტი (ისტ-ის გამოყენებით)

ბავშვის სწავლა-აღზრდის ურთულეს მარათონში მეტად მნიშვნელოვანია სწავლების ფუნდამენტალური საფუძველი, რომელსაც საძირკველი პირველ კლასში ეყრება. სკოლაში მოსვლისას მოსწავლეები სრულიად ახალ გარემოში ხვდებიან. გარემოსთან ადაპტაციის რთული პროცესის დაძლევაში მათ მასწავლებელი ეხმარება.

სწავლისადმი ინტერესის გაღვიძება და წიგნისადმი სიყვარულის გაჩენა დამოკიდებულია მასწავლებლის სწორად მომარჯვებულ აქტივობებზე, ბავშვთა ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით. სწორად ჩამოყალიბებული სწავლა-აღზრდის მიმართულებები ააქტიურებს კოგნიტურ უნარებს მოსწავლეთა შემდგომი გონებრივი განვითარებისათვის.

არავისთვის არაა უცხო, რომ ამ ურთულეს ეტაპზე არაერთ პრობლემას ვაწყდებით, რაც მასწავლებლის სწორად გათვლილი მიდგომებითა და საჭირო აქტივობებით უნდა იქნეს დაძლეული.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნები და მისაღწევი შედეგები არის გზამკვლევი, რომლის რეალიზება მასწავლებლის დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

ბავშვი სუფთა დაფაა, რომელზეც „იწერება“ ყველაფერი, რაც მას მიეწოდება. სწორედ აქაა მასწავლებლის დიდი ოსტატობა საჭირო, რომ ბავშვის გონებას „დაეწეროს“ ყველაფერი ის, რაც მის კოგნიტურ პროცესებს გამოაფხიზლებს, განავითარებს და მტკიცე საფუძველს მოამზადებს დიდი განათლებისთვის.

ეს ყველაფერი წერა-კითხვის სწავლების ურთულესი პროცესით იწყება.

საანბანო პერიოდის გავლის შემდეგ დგება კითხვის ეტაპი. სასწავლო გარემომ უნდა უზრუნველყოს ბავშვისთვის კითხვის სწავლება შესაბამისი აქტივობებით. აუცილებლად გასათვალისწინებელია მასწავლებლისაგან ის ფაქტი, რომ მოსწავლეები განვითარების ერთსა და იმავე დონეს ერთნაირად ვერ აღწევენ და თითოეული მათგანი მასწავლებლის შემოქმედებითი მიდგომებით უნდა წარმოჩნდეს.

წინამდებარე თემა, რომლის სახელწოდებაა „**გააზრებული კითხვის სწავლება**“ იაკობ გოგებაშვილის მინიატურული მოთხრობის **„მუქთამჭამელა“** ფონზე გაიშლება.

ტექსტზე მუშაობას ეთმობა 2 საათი.

წინამდებარე თემა სრულად მოიცავს ორივე საათის აქტივობებს.

გაკვეთილის მიზანი:

✓ სწორი და შეგნებული კითხვის ჩვევის დაუფლება;

✓ მეტყველების განვითარება: ა) ლექსიკური მარაგის გამდიდრება; ბ) გაბმულ მეტყველებაზე მუშაობა;

✓ კრიტიკული აზროვნების განვითარება – საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება.

სანამ უშუალოდ ტექსტზე მუშაობას დავიწყებდეთ, მოსწავლეებს ყურადღებას ვამახვილებინებ იქვე მოცემულ რუბრიკაზე – **„ბრძენკაცის დარიგება“.**

რუბრიკის გასახსნელად ვიყენებ აქტივობას **„გონებრივი იერიში“.** მოსწავლეები პასუხს სცემენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს: (ყველა პასუხი მისაღებია)

1. ვინ არის ბრძენკაცი?

მოსალოდნელი პასუხები: „ვინც ჭკვიანია“, „ვინც გონიერია“, „ვინც გვარიგებს“, „ვინც გვასწავლის“.

სასკოლო აქტივობა

ამის შემდეგ მოსწავლეებს შევახსენებ:

2. ვინ იყო იაკობ გოგებაშვილი?

3. იაკობის მიერ დაწერილი რომელი მოთხრობები გახსოვთ?

ვეუბნები, რომ **„მუქთამჭამელაც“** იაკობ გოგებაშვილმა დაწერა, რომელშიც დიდი სიბრძნე ჩადო.

კლასს **სადისკუსიოდ** ვთავაზობ ორ საკითხს:

✔ რა არის ადამიანში მთავარი – გარეგნობა თუ ხასიათი?

✔ ცვლის თუ არა გარეგნობა ადამიანს?

ამ საკითხზე დასაფიქრებლად ბავშვებს ეძლევათ 3 წუთი, შემდეგ ყველა მსურველი გამოთქვამს აზრს, ბოლოს მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა ნააზრევს.

ტექსტის კითხვამდე აიხსნება სიტყვა „მუქთამჭამელა“. ბავშვები სხვადასხვაგვარ სავარაუდო პასუხს იძლევიან. საბოლოოდ კი ფიქსირდება, რომ **მუქთამჭამელა** არის **ზარმაცი, უქნარა ადამიანი, რომელიც სხვისი შრომით ცხოვრობს.**

ტექსტის კითხვა

ვკითხულობ ტექსტს გამომეტყველებით. შემდეგ წავაკითხებ კითხვაში კარგად გაწაფულ მოსწავლეებს და რამდენიმე მოსწავლეს ვაკითხებ ნაწილ-ნაწილ.

მუქთამჭამელა

*„იყო ერთი ზარმაცი და **მუქთამჭამელა** ბიჭი. **ყველას აბუჩად ჰყავდა** აგდებული, იფიქრა, მოდი, ჩოხას გავიხდი, პიჯაკს ჩავიცვამ და პატივი დამედებაო, ასეც მოიქცა, მაგრამ უარესი დაემართა. **ყველამ უფრო აიგდო მასხრად,** მეზობელმა უთხრა: ბიჭო, ტანისამოსს კი ნუ იცვლი, ხასიათი გამოიცვალე, **გაისარჯე** და პატივი დაგედებაო.“*

მოსწავლეებში გამართული კითხვის უნარის გამომუშავებისათვის, ვუსმენ მათ და კითხვაში მინიმალურად ვერევი, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვეხმარები, თუ ბავშვი ვერ ახერხებს კითხვის გაგრძელებას.

ვეხმარები მინიშნებებით, რათა ხელი შევუწყოთ ბავშვის **თვითკორექციის** პროცესს, ანუ მოსწავლემ თავად გაასწოროს შეცდომა და შეძლოს თვითკორექციის ჩვევის გამომუშავება, რაც მეტად მნიშვნელოვანია მოქნილი კითხვისათვის.

მასწავლებლის მინიშნებები შეიძლება იყოს: ბორძიკის შემთხვევაში, დროის რეგლამენტის გაზრდა 10 წამამდე ან რჩევა: „კიდევ სცადე“; კითხვა: „რა აზრია?“ და სხვ.

როცა მოსწავლე კითხულობს ტექსტს, არც მასწავლებლის კომენტარია საჭირო (თუნდაც – „ყოჩაღ“ ან „უკეთესად“), რადგანაც ნებისმიერი კომენტარი მას ხელს უშლის ყურადღების კონცენტრირებაში. კომენტარის გაკეთება მხოლოდ კითხვის დამთავრების შემდეგ შეიძლება.

საჭირო შემთხვევაში, შეიძლება მოვიმარჯვოთ სტრატეგია „ერთობლივი კითხვა“.

გაკვეთილის შემდგომი აქტივობაა ტექსტის **ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ანალიზი.** აიხსნება სიტყვები და იდიომატური გამოთქმები:

აბუჩად ჰყავდა აგდებული – დასცინოდა;
მასხრად აიგდო – დასცინა;
ჩოხა – მამაკაცის ქართული ეროვნული სამოსი;
გაისარჯე – იშრომე, იმუშავე;
პატივი დამედება – პატივისცემით მომექცევიან, დამაფასებენ.

აქვე მასწავლებელი მოსწავლეებს დავალებას აძლევს – ამ ახალი სიტყვების გამოყენებით ზეპირად შეადგინონ წინადადებები.

მოსწავლეები ვარჯიშობენ კითხვაში, გამოიყენება ინდივიდუალური და გუნდური კითხვა, გაგრძელებით კითხვა.

კითხულობენ და აანალიზებენ ტექსტის ბოლოს მოცემულ ანდაზას, აკავშირებენ მას წაკითხულთან და სხვა მსგავს ანდაზებსაც იხსენებენ:

სავარაუდოდ, ტექსტის თემატიკასთან შესატყვისი ანდაზებია (რომლებიც შეიძლება მასწავლებელმა თავად მიაწოდოს ბავშვებს):

ანდაზები სიზარმაცეზე:

✔ „ზარმაცი კაცისთვის ყოველი დღე უქმეაო.“
✔ „ზარმაცი რომ გაიღვიძებს, მშრომელი კი დაიძინებსო.“
✔ „ზარმაცმა თქვა, მშიაო, ვერ ვიშრომებ, მზეაო.“
✔ „მშრომელი ბეღელს აავსებს, ზარმაცი ოჯახს დააქცევსო.“
✔ „სიზარმაცე სენია, განკურნება ძნელია.“
✔ „დღემეხვალიე კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო.“

აქვე გაანალიზდება წიგნში მოცემული ფერადი ილუსტრაციაც, მოსწავლეები აკვირდებიან მასზე გამოხატულ პერსონაჟებს, ცდილობენ ნახატის მიხედვით გამოიცნონ მხატვრის დამოკიდებულება გმირისადმი, შეაქვთ სათანადო კორექტივები.

ტექსტის ანალიზი

მოსწავლეები კითხვებზე პასუხით გადმოგვცემენ ტექსტის შინაარსს, ამავე დროს აანალიზებენ მას და გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას ნაწარმოების პერსონაჟისადმი. აქ შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს ამგვარი თანმიმდევრობა:

✔ **აღწერეთ** – როგორია მუქთამჭამელა ხასიათით, ჩაცმულობით.

✔ **შეადარეთ** – თქვენთვის ცნობილ რომელ გმირს ჰგავს იგი? (მაგალითები შეიძლება დასახელდეს როგორც ნასწავლი ლიტერატურული ნაწარმოებიდან, ისე კინოფილმიდან ან ზღაპრიდან)

✔ **შეაფასეთ** – რამდენად მისაღებია გმირის მოქმედება? (მოსწავლეები შეეცდებიან გამოხატონ თავიანთი ინდივიდუალური შეხედულება და დაასაბუთონ სათანადო არგუმენტით)

გააკეთეთ დასკვნა

მასწავლებელი კლასს ნაწარმოების ინტერპრეტირებულ გაგრძელებას სთავაზობს. ამ დავალების შესასრულებლად კლასი შეიძლება დაიყოს ჯგუფებად. თითოეულმა ჯგუფმა საკუთარი ვარიანტი უნდა წარმოადგინოს, დასაბუთებულად.

ენობრივ მასალაზე დაკვირვება

მოსწავლეებს დავავალებთ ტექსტში 4-სიტყვიანი წინადადებების მოძებნას. ასეთი წინადადება ორია: „ყველას აბუჩად ჰყავდა აგდებული“ და „ყველამ უფრო აიგდო მასხრად“. ბავშვებს ვთხოვთ, დაუმატონ სიტყვა ან სიტყვები თითოეულ წინადადებას. მაგალითად **„მუქთამჭამელა** ყველას აბუჩად ჰყავდა აგდებული“ ან **„საცოდავი მუქთამჭამელა** ყველას აბუჩად ჰყავდა აგდებული“.

შეიძლება კროსვორდის ფორმაც მიეწოდოს ბავშვებს, წიგნიდან ამოწერილი სიტყვებით შესავსებად.

სიტყვის სალარო

ეს აქტივობა სიტყვაგამოტოვებულ წინადადებებში სიტყვების აღდგენას ითვალისწინებს.

მაგალითად: „ჩოხა ..... სამოსია“ (ეროვნული). „მუქთამჭამელას ყველა ..... იგდებდა“ (აბუჩად). „ტანისამოსს კი ნუ ....., ხასიათი ..... და ..... დაგედებაო“ (იცვლი, გამოიცვალე, პატივი).

ზემოაღნიშნული აქტივობები შეესაბამება ეროვნული გეგმით გათვალისწინებილ მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს, რომლებიც გათვალისწინებულია კითხვის სტრატეგიების მაღალ დონეზე დაუფლების, ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებისათვის დაწყებით საფეხურზე. ყოველივე ეს საიმედო დასაყრდენია სწავლების შემდგომ საფეხურებზე მოსწავლეთა წარმატებისათვის.

ტესტური დავალება (10-ქულიანი)
(ტესტი მოსწავლეებს ლოკალური ქსელით, კლასის მართვის სისტემით, „ბუკების“ გამოყენებით ეგზავნებათ)

1. ჩამოთვლილთაგან რომელია საგანი? (1 ქულა)
ა) დიდი;
ბ) მწვანე;
გ) წიგნი.
2. „მუქთამჭამელას“ ეძახიან მშრომელ ადამიანს (1 ქულა)
ა) სწორია; ბ) მცდარია.
3. რა ურჩია მეზობელმა მუქთამჭამელას? (პასუხი ჩაწერე) (2 ქულა)
.....
.....
4. ხასიათს სამოსი (1 ქულა)
ა) ცვლის; ბ) არ ცვლის.
5. მუქთამჭამელა არის 6-მარცვლიანი სიტყვა (1 ქულა)
ა) სწორია; ბ) მცდარია.
6. „მუქთამჭამელა“ დაწერა ..... (1 ქულა)
7. რა არის ჩოხა? (1 ქულა)
ა) ქუდი; ბ) ეროვნული სამოსი.
8. „უარესი“ – ეს სიტყვა გადაიტანება ასე: უ-არესი (1 ქულა)
ა) მცდარია; ბ) სწორია.
9) დაწერე ამ მოთხრობის შესაფერისი ანდაზა: (1ქულა)
.....
.....

ანა კლდიაშვილი
ქუთაისის №3 საჯარო სკოლის
პირველი კლასის მასწავლებელი

ტუბერკულოზის მსოფლიო დღე

24 მარტს მსოფლიო ტუბერკულოზის დღეს აღნიშნავს. ამ დღის აღნიშვნას შეუერთდა თბილისის 26-ე საჯარო სკოლაც, რაშიც მხარდაჭერა გაუწია საქართველოს TB კოალიცია „პაციენტთა კავშირმა.“ ძალიან მნიშვნელოვანია დაავადების შესახებ მოსწავლეთა ინფორმირება და მათი ცნობიერების ამაღლება – თუ რა იწვევს ამ დაავადებას, როგორ ვებრძოლოთ მას და როგორ დავიცვათ მისგან თავი.

დილა სკოლაში დაიწყო იმით, რომ უფროსკლასელებმა, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს გულზე ტუბერკულოზის სიმბოლო – გვირილა მიამაგრეს. გამოიცა კედლის გაზეთი „ტუბერკულოზის მსოფლიო დღე“ და გამოიკრა სკოლის საჯარო სივრცეში. მასწავლებლებმა ამ დაავადების შესახებ პრეზენტაციები ჩაატარეს კლასებში. დამზადდა და მშობლებს დაურიგდათ სამახსოვრო ბუკლეტები, ტუბერკულოზით ბავშვების დაავადებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ. VIII-კლასელმა მოსწავლეებმა დაავადებებისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის შესახებ ისაუბრეს.

ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთნენ სკოლის სამოქალაქო კლუბ „მეწინავეს“ წევრებიც. ბავშვებმა, მათ მიერ დამზადებული საინფორმაციო ფლაერები დაურიგეს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გამვლელებს.

პედაგოგიური საბჭოს თავჯდომარემ **მანანა კაპანაძემ**, პედაგოგებს წარუდგინა პრეზენტაცია სკოლაში დაავადებების გავრცელებისა და იმ სამუშაოების შესახებ, რომელიც უნდა გასწიონ იმისათვის, რომ დაავადება არ გავრცელდეს სკოლაში, აგრეთვე იმ მიდგომების შესახებ, რომლითაც უნდა იმოქმედოს მასწავლებელმა დაავადებულ ბავშვთან და მის მშობლებთან ურთიერთობის დროს.

აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებული სტიგმის დანგრევას და ტუბერკულოზის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

ქეთევან თედორაძე
თბილისის 26-ე საჯარო სკოლის
პედაგოგი

ინფორმაცია

პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა

პირველად საქართველოში მრავალპროფილიანი, მაღალი პროფესიონალებით დაკომპლექტებული საუნივერსიტეტო კლინიკა ამოქმედდა, სადაც სტუდენტები და რეზიდენტები, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს შეიძენენ, აკადემიურ პერსონალს კი, თანამედროვე კვლევების ჩატარების შესაძლებლობა მიეცემა. კლინიკა გათვლილია 185 საწოლზე და აღჭურვილია თანამედროვე ლაბორატორიებით, რადიოლოგიური დიაგნოსტიკისა და მაღალტექნოლოგიური სამედიცინო კვლევებისათვის საჭირო აპარატურით.

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო მრავალპროფილიანი კლინიკა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან თამარ სანიკიძესთან და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან დავით სერგეენკოსთან ერთად, გახსნა

სასწავლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით, სამინისტრო არაერთ მასშტაბურ პროექტს ახორციელებს. მათ შორისაა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მრავალპროფილური საუნივერსიტეტო კლინიკის (ყოფილი მე-8 საავადმყოფო) გამართვა და აღჭურვა. კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ექიმების და ექთნების მოსამზადებლად აუცილებელია თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საუნივერსიტეტო კლინიკის არსებობა.

კლინიკა უზრუნველყოფს სტუდენტთა განათლების დონის ამაღლებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას და კლინიკური გამოცდილების მიღებას, რაც ასე მნიშვნელოვანია მედიცინის სფეროში მომავალი დასაქმების და წარმატებული საქმიანობის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, სამედიცინო დაწესებულება სასწავლო მიზნებისთვისაა ადაპტირებული, აქ განთავსდა 20-მდე კლინიკური დეპარტამენტი/მიმართულება (კათედრა), რომელთა განკარგულებაშია 5 სალექციო აუდიტორია და 70 სასწავლო ოთახი. სტუდენტებთან ერთად, პროფესიულ მზადებას რეზიდენტებიც გაივლიან.

კლინიკაში ფუნქციონირებს შემდეგი სამსახურები: გადაუდებელი მედიცინის (EMERGENCY); კლინიკური ლაბორატორია; რადიოლოგიური დიაგნოსტიკა (რენტგენი, ენდოსკოპია, ექოსკოპია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია); ამბულატორია; ტრანსფუზიოლოგიური სამსახური; ქირურგიული პროფილის სამსახურები; ნეიროქირურგია; ტრავმატოლოგია; ყბა-სახის ქირურგია; უროლოგია (ლაპარასკოპიით); ოტორინოლარინგოლოგია; თვალის სნეულებები; მეან-გინეკოლოგია (ლაპარასკოპიით); თერაპიული პროფილის სამსახურები; ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია; საოპერაციო ბლოკი – 2 გადაუდებელი და 5 გეგმიური საოპერაციოთი.

* * *

ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი: *„მართლაც აღფრთოვანებული ვარ იმით, რაც აქ ვნახე – წარმოდგენილია ულტრათანამედროვე აპარატურა. ეს პირველი საუნივერსიტეტო კლინიკაა, რომლის მსგავსი საქართველოში არ არსებობდა. თქვენ იცით, რომ 2006 წელს წინა ხელისუფლებამ რამდენიმე კლინიკა ჩამოართვა სამედიცინო უნივერსიტეტს, რაც დანაშაული იყო.*

ეს წარმატებული ერთობლივი პროექტი, რომელიც განათლების სამინისტრომ, საქართველოს მთავრობამ და სამედიცინო უნივერსიტეტმა განახორციელეს, 20 მილიონი დაჯდა, საბოლოო ჯამში, 25 მილიონი დაჯდება. 5 მილიონი, ჩვენი ბიუჯეტიდან, განათლების სამინისტრომ გამოყო. აქ დასაქმდება 600 ადამიანი. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებსა და რეზიდენტებს საშუალება ექნებათ, თეორიულთან ერთად, პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილებაც შეიძინონ. ლაბორატორიები ულტრათანამედროვე კამერებითაა აღჭურვილი და ისინი შეძლებენ დააკვირდნენ, როგორ კეთდება ოპერაციები.

მადლობა მინდა გადავუხადო ამ პროექტის ავტორებს – უნივერსიტეტის რექტორს, განათლების მინისტრსა და ჯანდაცვის მინისტრს და საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნა მივულოცო ყველას, განსაკუთრებით სტუდენტებს, მომავალ თაობას, რომლებიც მოემსახურებიან ჩვენს მოქალაქეებს. ჩვენი მთავარი ამოცანაა, მივიღოთ კვალიფიციური ექიმები და ეს კლინიკა ამის უნიკალური შესაძლებლობაა ჩვენი სტუდენტებისთვის.“

თამარ სანიკიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„ეს არ არის სტუდენტთა რაიმე განსაკუთრებულ კონტინგენტზე მორგებული დაწესებულება, კლინიკა სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტზეა გათვლილი. ვფიქრობ, სამედიცინო უნივერსიტეტისთვის ეს უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია, რომ აქ მიღებული განათლება იყოს ხარისხიანი. კლინიკა ორიენტირებული იქნება, ძირითადად, პრაქტიკულ მეცადინეობებზე. აქ ყველა პირობაა იმისა, რომ სტუდენტი თავიდანვე ჩართული იყოს პრაქტიკაში, კვლევაში. ჩვენ ძალიან მალე ვნახავთ ამის პოზიტიურ შედეგს. ვულოცავ ყველას, ეს კარგი პრეცედენტი და ნიმუშია იმისა, როგორ უნდა მოეწყოს და ერთმანეთს დაუკავშირდეს სწავლა, კვლევა და პრაქტიკა.“*

დავით სერგეენკო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი: *„დღეს გაიხსნა რეალურად საუნივერსიტეტო მნიშვნელობის კლინიკა – სასწავლო კლინიკა, რომელიც მიმართული იქნება საუნივერსიტეტო განათლებისაკენ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამედიცინო სასწავლო დაწესებულებებისა და კლინიკური ბაზების მდიდარი ტრადიციები ჰქონდა ყოველთვის. ძალიან მიხარია, ამ ტრადიციის აღდგენა რომ იწყება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მართლაც ბევრი ღირსეული კლინიკაა, სადაც სტუდენტები და რეზიდენტები გადიან სწავლებას, ეს ერთადერთია, რომელიც მხოლოდ სასწავლო აქტივობების მიმართულებით მუშაობს. მჯერა, კლინიკის საქმიანობა წარმატებული იქნება და ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და რეზიდენტების კვალიფიციურ მომზადებას.“*

ზურაბ ვადაჭკორია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი: *„საუნივერსიტეტო კლინიკა სათანადოდაა აღჭურვილი, დაკომპლექტებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცდილი და კვალიფიციური პროფესორებით, ექიმებითა და ექთნებით, რაც იმის გარანტიაა, რომ ამ კლინიკის საქმიანობა წარმატებული იქნება.“*

ნოდარ ლომიძე, თსსუ-ს საუნივერსიტეტო კლინიკის კლინიკური დირექტორი: *„ჩვენს საავადმყოფოში სასწრაფო დახმარებას მიიღებს ყველა პაციენტი. სასწრაფო გადაუდებელი დახმარების განყოფილება აღჭურვილია მთელი თავისი ატრიბუტიკით – შოკის დარბაზით, ობსერვაციის – დაკვირვების დარბაზით, საოპერაციოთი. იმუშავებს ამბულატორიაც, კარგად უზრუნველყოფილი და აღჭურვილი. ამ საავადმყოფოში წარმოდგენილია ყველა მიმართულების კლინიკები – თვალის სნეულებათა, ტრავმატოლოგიური, ყელ-ყურ-ცხვირის, ქირურგიული პროფილის ყველა სამსახური და ა.შ.“*

კახა აბულაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი: *„სამედიცინო განათლების პროცესში, განსაკუთრებით მის მეორე ნაწილში, რომელიც კლინიკურ მიმართულებას მოიცავს, აუცილებელია პრაქტიკული საქმიანობა კლინიკაში. პაციენტებთან ურთიერთობა, იგივე მორიგეობა, პრაქტიკა თუ სტაჟირება სასწავლო პროცესისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელია.“*

თარაკა დანუვილა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი: *„მე სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ. დღეისათვის ძალიან ბევრი უცხოელი სტუდენტი სწავლობს ამ უნივერსიტეტში. ყველას გვაქვს შესაძლებლობა, მივიღოთ ხარისხიანი განათლება სამედიცინო სფეროში. უნივერსიტეტი, ასევე, გვაძლევს საშუალებას, გავიუმჯობესოთ პრაქტიკული და კლინიკური უნარ-ჩვევები.“*

* * *

საუნივერსიტეტო კლინიკა აპრილიდან ამოქმედდება. იქ მზადებას გაივლის და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს დაეუფლება 6000-ზე მეტი ქართველი და 2000-მდე უცხოელი სტუდენტი. თანამედროვედ აღჭურვილი კლინიკა, სადაც 600 თანამშრომელი დასაქმდა, მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფს არა მარტო თბილისის, არამედ მთლიანად საქართველოს მოსახლეობას.



მე ვხედავ

25 აპრილს, კინოთეატრში „ამირანი“, გაიხსნა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ფოტოგრაფიის სასერტიფიკატო პროგრამის კურსდამთავრებულთა ფოტოგამოფენა.

„გამოფენა, რომელიც დიალოგის წარმართვის საშუალებაა ფოტოგრაფსა და საზოგადოებას შორის, დამწყებ ფოტოგრაფებს დაეხმარება საკუთარი თავი და ხედვა წარუდგინონ ფართო აუდიტორიას“ – აღნიშნა ფოტოგრაფმა **მარი ნაკანმა** გახსნის ცერემონიაზე.

მარი ნაკანი-მამასახლისის 3-თვიანი საავტორო პროგრამის განმავლობაში, სტუდენტები სწავლობდნენ ფოტოაპარატის აგებულებასა და ტექნიკურ შესაძლებლობებს, ეცნობოდნენ ფოტოგრაფიის საფუძვლებსა და სხვადასხვა მიმდინარეობებს, ეძებდნენ და ირჩევდნენ საკუთარ სტილს.

მრავალფეროვანი იყო სწავლის განმავლობაში შესრულებული შემოქმედებითი დავალებების თემატიკა და სპექტრი – სტუდენტები იღებდნენ პორტრეტებს, ავტოპორტრეტებს, პეიზაჟებს; მუშაობდნენ კინოკადრების განახლებაზეც და ეუფლებოდნენ ახალ ტექნოლოგიებს.

სტუდენტების მიერ გადაღებული მხატვრული, სტუდიური და სარეკლამო 26 ფოტო შეირჩა გამოფენისთვის „მე ვხედავ“, რომელიც კინოთეატრში „ამირანი“ 4 აპრილამდე გაგრძელდება.

თამარ ბერუჩაშვილის საჯარო ლექცია IBSU-ში

26 მარტს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **თამარ ბერუჩაშვილი** ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, მინისტრი უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **ილიას ჩილოღლუს** შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის საკითხს ქართულ-თურქული ურთიერთობების კონტექსტში, ასევე იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ქართული უნივერსიტეტებისთვის ჩნდება.

შეხვედრას ესწრებოდნენ: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი **ადემ ონალი**, უნივერსიტეტის კანცლერი **რესულ დიქმენი** და ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლები.

შეხვედრის შემდეგ ქალბატონმა თამარ ბერუჩაშვილმა გამართა საჯარო ლექცია, თემაზე – „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“. მინისტრმა სტუდენტებს სამინისტროს ორწლიანი ანგარიშის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და მოკლედ მიმოიხილა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, ისაუბრა იმ გამოწვევებზე, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას.

ლექციის შემდეგ სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ დაესვათ შეკითხვები და ქვეყნის პირველი დიპლომატისგან მიეღოთ მათთვის საინტერესო პასუხები. დისკუსიის დასრულების შემდეგ, პროფესორმა ილიას ჩილოღლუმ საპატიო სტუმარს სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

ქართული ტელევიზიის მშვენება

როცა ტელეეკრანზე პირველად გამოვჩნდი, იგი უკვე ცნობილი და მაყურებელთა საყვარელი ტელედიქტორი იყო. გადაცემა, რომლის გაძღოლაც მომანდეს, დიდ ფრანგ მსახიობს – ჟან გაბენს ეძღვნებოდა. გადაცემის დამთავრების შემდეგ, მან გულწრფელად მომილოცა ტელედებიუტი, მერე ცალკე გამიხმო და პატარა შენიშვნა მომცა, თან დაამატა:

– ძალიან მომეწონე, ვიცი დღეიდან გადაცემები მოგიმრავლდება და მინდა მუდამ კარგი იყო, რაც გითხარი არ გეწყინოსო.

ქალბატონი **ჟანეტა არჩვაძე** იმ მცირერიცხოვან ადამიანთა შორისაა, რომელთაც შეუძლიათ სხვისი წარმატებისა და სიხარულის გაზიარება, სხვათა ნიჭისა და ღირსების ობიექტურად შეფასება, რაც მის პიროვნულ თვისებებს კიდევ უფრო მეტ ხიბლს მატებს. ჩვენ ათეული წლების მანძილზე გვიხდებოდა ერთად ყოფნა და არ მახსოვს, ვინმეზე აუგი ეთქვას. სულ მცირე შენიშვნასაც კი ისეთი ტაქტით და მორიდებით გამოთქვამდა, მადლობის მეტი არაფერი გეთქმოდა.

ქალბატონი ჟანეტას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მრავალი სტატია თუ ინტერვიუ გამოქვეყნებულა ჟურნალ-გაზეთებში, ახალს ვერაფერს დავამატებ, მაგრამ მაინც მინდა გავიხსენო მისი ბიოგრაფიის ორიოდე ეპიზოდი, რომელიც, შესაძლოა, ბევრს ჩემზე უკეთ ახსოვს.

მცირე ხნით წარსულში გადავინაცვლოთ: მაშინ, თბილისში, მსუბუქი ავტომანქანა იშვიათად დადიოდა. თუ სადმე თვალს მოვკრავდით, უმალ ცნობისმოყვარეობით „ვარკვევდით“, ვინ იყო მისი პატრონი. სწორედ ამ პერიოდში დააქროლებდა „ვოლგას“ ქალბატონი ჟანეტა, იმხანად თეატრალური ინსტიტუტის ულამაზესი სტუდენტი და თუმცა მოძრაობის წესებს არ დაგიდევდათ, არავინ აჩერებდა, მაგრამ, თუ ზოგჯერ გამონაკლისი მაინც ხდებოდა, მისი სილამაზით მოხიბლული ინსპექტორები იქით უხდიდნენ ბოდიშს.

თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ესტრადა, რადიო, თეატრი. თუმცა თეატრის მიტოვება გაუძნელდა, მაგრამ არჩევანი ბოლოს ტელევიზიაზე შეაჩერა და ორმოც წელზე მეტ ხანს ამშვენებდა ტელეეკრანს. მაყურებლის სიყვარულმა და თაყვანისცემამ თეატრთან განშორების ტკივილი მაინც ვერ გაუნელა და ეს ტკივილი ფარულ თანამგზავრად დაჰყვებოდა მუდამ. ყველაზე დიდი ტკივილი კი მეუღლის, საქართველოში ტელევიზიის ერთ-ერთი დამაარსებლის, შოთა არჩვაძის გარდაცვალება იყო, ორმოცწლიანი ერთად ყოფნის დასასრული. ამ გამოცდასაც ღირსეულად გაუძლო და ჩვეული ოსტატობით უძღვებოდა სხვადასხვა ხასიათის გადაცემებს, პარალელურად, მეტყველების კულტურას ასწავლიდა სტუდენტებსა და მოსწავლეებს.

ქალბატონ ჟანეტას ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას მიანიჭეს „სახალხო არტისტის“ წოდება, შარშან კი ცნობილი ქართველი ხელოვნების მოღვაწეთა თანავარსკვლავედს მისი ვარსკვლავიც შეემატა და ტელევიზიის ანძასთან, ლამაზ ხეივანში დაიდო ბინა. ნიჭიერი, გონიერი, განათლებული, სამართლიანი, ჩინებული მოსაუბრე, მისაბაძი დედა და ბებია – ასეთია ჩვენი მომხიბლავი ქალბატონი, რომელმაც სამართლიანად დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი ქართველ ხელოვანთა შორის.

წელს, ქალბატონ ჟანეტას დაბადების მრგვალი თარიღი უსრულდება. მინდა დავასწრო ყველას და წინასწარ მივულოცო ეს თარიღი. ვუსურვო ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, სიკეთე და ბედნიერება ოჯახის, ახლობლების, მისი თაყვანისმცემლების სასიხარულოდ, რომელთა შორის ერთი პირველთაგანი მეც გახლავართ.

თინათინ ელბაქიძე

მოსწავლე შემოქმედი

მინდა ჩემს სკოლაში ბევრი ბავშვი სწავლობდეს

ლუკა გოგსაძე
ქართულის წრის წევრი,
ეკატერინე ჭიჭინაძე
ხელმძღვანელი, მასწავლებელი

მე სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ველევის საჯარო სკოლის მოსწავლე ვარ. ამ სკოლაში სწავლება მხოლოდ დაწყებით და საბაზო საფეხურზე მიმდინარეობს, საშუალო საფეხური არა აქვს. ისე, კარგი კი იქნებოდა. ძნელია შეჩვეულ გარემოსთან განშორება, მშობლებისაგან შორს ყოფნა. ჩვენი სოფელი, უახლოესი სოფლიდან, სადაც საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელება შეიძლება, 19 კილომეტრით არის დაშორებული. უფრო ახლოს სოფელ ხოტევის საჯარო სკოლა იყო, მაგრამ ჯერ არასრულ საშუალოდ გადაკეთებულა, ათიოდე წლის უკან, ახლა კი საერთოდ დაიხურა.

აბრევიატურის ჩათვლით, რამდენი სიტყვაც ჩემი სკოლის დასახელებაშია, ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს, იმდენი მოსწავლე მაინც რომ ვსწავლობდეთ. სკოლაში სულ რვა მოსწავლე ვართ. ჩემს კლასში კი მხოლოდ მე ვარ. ყველა ბავშვი მიყვარს და ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ განსაკუთრებით მერვეკლასელი გოჩა მიყვარს. მეორეკლასელ დათოსა და მეოთხეკლასელ ვანოზე უფროსია და უფრო ვუგებთ ერთმანეთს. გასულ წელს მეცხრე კლასში გოგა სირაძე სწავლობდა. რა კარგი იყო! მე, მეშვიდეკლასელ გოჩასა და გოგას ყველაფერი კარგად გამოგვდიოდა: თამაშსაც ვაწყობდით და საუბარსაც. სასკოლო ღონისძიებებშიც ერთად ხალისით ვმონაწილეობდით, წარმატებების სიხარულსაც ერთად ვიზიარებდით, კარგად ვუგებდით ერთმანეთს. მაგრამ გოგამ დაამთავრა საბაზო საფეხური და სხვა სკოლაში გადავიდა. ახლა ერთმანეთს იშვიათად ვხვდებით. ძალიან დამწყდა გული, მაგრამ ნელ-ნელა ვეგუებით ახალ ვითარებას. სხვა გზა არც გვაქვს, ფეხბურთს გოგოებთან ერთად ვთამაშობთ ხოლმე, საღომესა და ელენეს კარგად გამოსდით, ღიას კი უმეტესად კარში ვაყენებთ.

გათენება და სკოლაში წასვლა მიხარია. იქ ბოლომდე დავიხარჯები: ვიცელქებ, ვითამაშებ, მოვუსმენ მასწავლებლებს, ვიმეცადინებ და დაღლილ-დაქანცული დავბრუნდები შინ, რათა ხვალისათვის ახალი ენერგიით ავივსო და სკოლაში ისევ წავიდე, ვიცელქო, ვითამაშო, მოვუსმინო მასწავლებლებსა და ვიმეცადინო და გადის დრო, მოსწავლეთა სიმცირის მიუხედავად, არაერთფეროვანი.

სკოლაში ადრე მივდივარ. მე ჩემი და – ელენე მიმყავს. ის ჩემზე პატარაა და მე ვპატრონობ: ან ძაღლმა არ შეაშინოს, ან საქონელმა. დავდებთ ჩანთებს თუ არა, გავრბივართ ეზოში და ხან ბურთს დავდევთ, ხან დამალობანას ვთამაშობთ და ხან დაჭერობანას. თუ თოვლია, ვგუნდაობთ, თოვლის კაცს ვაკეთებთ და თოვლში ვკოტრიალობთ. მასწავლებლები მაშინ გვიბრაზდებიან, როცა ზღვარს გადავალთ.

ჩემი სკოლა ველევის თემში შემავალ ოთხ სოფელს ემსახურება: კვირიკეწმინდას, ველევს, ბეთლევსა და შხივანას. დღეს სკოლაში ბავშვები მხოლოდ სოფელ ველევიდან დავდივართ, სხვა სოფლებში არ არიან.

ჩვენი თემი რაჭისა და ზემო იმერეთის საზღვარზე, რაჭის ქედის მარცხენა ფერდობზეა შეფენილი. კვეშლევისა და სასხვაოს მთებს შორის ჩიტის ბუდესავითაა მოქცეული. სკოლა კი თავად კვიტაშვილის სიძის, მაჩაბლის, ყოფილი სასახლის ადგილზეა აგებულიო, – გვითხრა მასწავლებელმა. შემაღლებული ადგილიდან ამაყად გადასცქერის დაბლა გოგსაძეებისა და ჩიხრაძეების უბნებს, მაღლიდან მაცაბერიძეების (ცქირიების) უბანი დასცქერის, მარჯვნიდან – ულამაზესი გაბუნის კლდე, მარცხნივ კი ნაძვნარით ნაბადწამოსხმულ საწალიკის მთასა და მის ძირში მიყუჟულ გელბახიანების უბანს გაჰყურებს.

სკოლის ეს შენობა 1991 წელსაა აგებული. ადრე აქ თურმე ქვითკირის ორსართულიანი შენობა მდგარა, მაგრამ 1991 წლის 28 აპრილს მომხდარ მიწისძვრას დაუნგრევია. იმავე წელს, მადლიანი ადამიანების წყალობით, აგებულა ეს ახალი შენობა, თემში დაწესებულების ერთადერთი თანამედროვე ტიპის ნაგებობა, თორემ რა გვეშველებოდა?! საერთოდ ველევში, პირველად დაწყებითი სკოლა 1871 წელს გაუხსნია აზნაურ ქრისტეფორე კვიტაშვილს. სკოლისთვის თავისი ადგილი უჩუქებია, ტბელაური. იქ ხალხს მორებისაგან ჯარგვალა სკოლა აუგია. მერე, 20-იან წლებში მისი შთამომავლის, გიორგი კვიტაშვილის, მცდელობით შვიდწლიანი სკოლა გახსნილა და ქვითკირის შენობის ასაგებად ბერძენი ხელოსნები დაუქირავებიათ. მუშებს სოფელი ინახავდა თურმე.

ჩვენს თემში, ისევე როგორც რაჭის სხვა სოფლებში, სახლების უმრავლესობა დაბოქლომებულია. სოფლებში სულ მოხუცებულები და ხანდაზმულები არიან. ორმოცდაათ წლამდე ვაჟებიც, მაგრამ სოფელში არავინ მოყვებათ, ელიან ბედსა და დრო გარბის...

ყველა საგანი მიყვარს და ყველა მასწავლებელი. ისინი ჩემი უფროსი მეგობრები არიან. კარგადაც ვსწავლობ, მაგრამ კლასში მარტო ყოფნა მოსაწყენია. მიხარია სპორტისა და ხელოვნების გაკვეთილები, სხვა კლასებთან ვარ შეერთებული. იქაც თითო მოსწავლეა, მაგრამ გვერდით ვინმე რომ გყავს, სასიამოვნოა, უფრო მობილიზებული ვარ.

სკოლაში ხშირად ვმართავთ ფოლკლორისა და ლიტერატურულ საღამოებს. ვხვდებით სოფლის უხუცესებს. ვმსჯელობთ ტრადიციებსა და ადათ-წესებზე, მათგან ბევრ რამეს ვსწავლობთ, ვიწერთ და ვინახავთ. განსაკუთრებით საწესჩვეულებო რიტუალები მაინტერესებს; გვაქვს კინოსა და წიგნის დღეები. მასწავლებლებთან ერთად ვმოგზაურობთ წიგნისა და კინოს სამყაროში, უფრო ქართულ ფილმებს ვნახულობთ. ვკითხულობთ, ვუყურებთ, ვმსჯელობთ, ვკამათობთ და მოსაწყენად სულ არ მცალია. მაგრამ ვისურვებდი, ქალაქიდან გადმოსულიყვნენ აქ საცხოვრებლად ბავშვები და გამრავლებულიყოს ჩემს სკოლაში მოსწავლეები.

მიკვირს, რატომ ამჯობინებენ ქალაქში ჩაკარგვასა და ცხოვრების ერთფეროვან რიტმს, სადაც მათ არსებობას ვერავინ ამჩნევს, სოფელში საჩინო და საჭირო პიროვნებად ყოფნასა და სოფლის რთული, მაგრამ მრავალფეროვანი ცხოვრებით ცხოვრებას?!

მე ძალიან მიყვარს სოფლის ცხოვრება. დილით არ მცალია, მაგრამ საღამოს აუცილებლად უნდა მოვინახულო ჩემი საქონელი, ხბოები, ცხენი კვიცით, შევიხედო საქათმეში, საბატეში, გავეთამაშო ძაღლს, მერე მივუჯდე წიგნებს, რათა ხვალ პირნათელი წარვდგე მასწავლებლების წინაშე.

მე ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა და ძალიან კმაყოფილი ვარ, აქ რომ ვსწავლობ, მაგრამ მინდა სოფელი ხალხმრავალი იყოს და სკოლაშიც ბევრი ბავშვი სწავლობდეს. ბევრს ვფიქრობ იმაზე, თუ რა იქნება ხვალ.

ინფორმაცია

ახალგაზრდა ინტელექტუალი

28 თებერვალს არასამთავრობო ორგანიზაციამ „პირველი ევროპელი“ დაიწყო პროექტის „ახალგაზრდა ინტელექტუალი“ განხორციელება, რომლის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში შემავალ სკოლებში საგნობრივი ოლიმპიადების ჩატარება. პირველი ოლიმპიადა 28 თებერვალს ჩატარდა ისტორიასა და გეოგრაფიაში. გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდნენ სხვადასხვა ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით.

პროექტის „ახალგაზრდა ინტელექტუალი“ ფარგლებში, 22 მარტს, დმანისის №1 საჯარო სკოლაში ჩატარდა მეორე ოლიმპიადა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ოლიმპიადაში მონაწილეობდა დმანისის რაიონის 8 სკოლის 114 მოსწავლე.

პირველი ადგილი დაიკავა სოფელ მაშავერის საჯარო სკოლის მოსწავლემ **მაკა ასლანიშვილმა** და დასაჩუქრდა პლანშეტური კომპიუტერითა და სიგელით. II ადგილის მფლობელი გახდა დმანისის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე **შოთა არჩემაშვილი**, მას საჩუქრად გადაეცა მობილური ტელეფონი და სიგელი. ხოლო III ადგილი დაიკავა სოფელ ჯავახის საჯარო სკოლის მოსწავლემ **ნათია ადუაშვილმა**, რომელსაც ენციკლოპედია და სიგელი გადაეცა საჩუქრად.

ქართველი მოსწავლეები NASA-ს ინოვაციების სამიტზე გაემგზავრებიან

ახალციხელი მეათეკლასელები – **ირაკლი კაპანაძე** და **კარლო ხუციშვილი** – 9-11 აპრილს, NASA-ს კენედის კოსმოსურ ცენტრში, ყოველწლიური ინოვაციების სამიტში მიიღებენ მონაწილეობას. ირაკლი ახალციხის მე-6 საჯარო სკოლაში სწავლობს, კარლო – კერძო სკოლა „მზექაში“. მათი გამოგონება – „მულტიკლიმატიზატორი“ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ მიერ განხორციელებული „ათასწლეულის ინოვაციების კონკურსის“ გამარჯვებული გახდა და, კონკურსის პირობის თანახმად, გამარჯვებულები, NASA-ს კოსმოსურ ცენტრში, კონრადის ფონდის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ ინოვაციების სამიტზე გაემგზავრებიან.

„ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი“, რომელიც აშშ-ს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, აშშ-ს კონრადის ფონდთან და აშშ-ს მშვიდობის კორპუსთან თანამშრომლობით ხორციელდება, წელს პირველად ჩატარდა. აღმასრულებელი დირექტორის **მაგდა მაღრაძის** განცხადებით, კონკურსის მიზანი საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიების დარგში სკოლის მოსწავლეების ინოვაციური იდეებისა და STEM-პროექტების განხორციელების წახალისება იყო. მისი ერთ-ერთი მიზანია კონკურსში გამარჯვებულების დაკავშირება წარმატებულ საერთაშორისო მეცნიერებთან, კერძო სექტორთან თუ ორგანიზაციებთან, რაც მათ სამომავლო პარტნიორობის დამყარებაში, გამოცდილებისა და ცოდნის მიღებაში დაეხმარებათ.

რიჩარდ ნოლანდი, აშშ-ს სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში: *„თუ მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პროექტების მიხედვით ვიმსჯელებთ, საქართველოში მეწარმეობას დიდი პერსპექტივა აქვს. ახალგაზრდებს ისეთი გამოგონებები აქვთ საინჟინრო, ნანოტექნოლოგიების, ჯანდაცვისა თუ ეკოლოგიის დარგში, რომლითაც ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის ხელშეწყობაა შესაძლებელი როგორც ლოკალურად, ისე გლობალური მასშტაბით.“*

ირაკლი კაპანაძე: *„მულტიკლიმატიზატორის პროექტს მსოფლიო ანალოგი არ გააჩნია. ჩვენი ხელსაწყო მოსალოდნელ წვიმას სამი დღით ადრე პროგნოზირებს. გამარჯვება მოულოდნელი იყო, თუმცა ძალიან ბევრი ვიშრომეთ ამისთვის და მოხარულები ვართ, რომ დაგვიფასდა. კონკურსში მონაწილეობა და გამარჯვება ჩვენი მიზნების მიღწევისთვის ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია, რომელმაც მეტი თავდაჯერებულობა შეგვძინა და დაგვარწმუნა, რომ შრომისმოყვარეობა და მონდომება ყოველთვის ფასდება. NASA-ს ცენტრში ვიზიტი ჩვენთვის საკმაოდ დიდი გამოწვევა და ახალი შესაძლებლობების გახსნის გზაა.“*

მოწყობილობის შექმნის იდეა ბიჭებს კახეთში მოსული სეტყვის შემდეგ გაუჩნდათ, რომელმაც მოსახლეობას დიდი ზარალი მიაყენა.

კარლო ხუციშვილი: *„მე და ჩემს მეგობარს მუდმივად გვესმოდა, რომ კახეთში ფერმერებს მოსავალი ძლიერი წვიმისა და სეტყვის გამო უფუჭდებოდა. იდეა ირაკლის გაუჩნდა. გადავწყვიტეთ შეგვექმნა ხელსაწყო, რომლის მეშვეობითაც ფერმერები მოსალოდნელი ზიანის თავიდან არიდებას შეძლებდნენ.“*

პროექტის მიზანია, ფერმერებს მოსავლის გადარჩენაში დაეხმარონ, ასევე, მიწის მაქსიმალური პროდუქტიულობის განსაზღვრასა და ნიადაგის რაციონალურად გამოყენებაში.

ახალციხელი მეათეკლასელების გამოგონება – „მულტიკლიმატიზატორი“ – ამინდის რამდენიმე დღით ადრე პროგნოზირების საშუალებას იძლევა, ასევე, ზომავს მიწის ტენიანობასა და ტემპერატურას. მიღებული მონაცემები მომხმარებელს შეიძლება კომპიუტერულ მოწყობილობაზე ან მობილურ ტელეფონზე, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, გადაეცეს. ამინდის დიდ ტერიტორიაზე პროგნოზირებისთვის მოწყობილობას GPS-სისტემით აღჭურვილი უპილოტო საფრენი მოწყობილობა „დრონი“ დაემატა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება მონაცემების ნებისმიერი ადგილიდან მოპოვება. კერძოდ, უპილოტო საფრენი აპარატი გაზომავს ატმოსფერულ ტენიანობას, ტემპერატურას და მიწის მარილიანობას.

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23

მიმდინარეობს ხელმოწერა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

** წიგნი I**
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

9 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ გარითლწერაში

ქართველი მწერლები

1. **ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი**
2. **მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი**
3. **ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი**
4. **ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი**
5. **კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი**
6. **რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი**
7. **ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი**
8. **გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი**
9. **ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი**
10. **თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი**
11. **გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი**

მითითებულია თითო ტომის ფასი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა



თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

თემატური კლასიკები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 *(42X59.4 სმ)*

1. **წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი**
2. **წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული**
3. **ფერები**
4. **გარეული ცხოველები**
5. **გარეული ფრინველები**
6. **პროფესიები**
7. **რიცხვები**
8. **შინაური ცხოველები და ფრინველები**
9. **ჰიგიენის ნივთები**
10. **საოჯახო ნივთები**
11. **ტრანსპორტი**
12. **წყლის ბინადრები**
13. **რუსული ანბანი**

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 *(59.4X84.1 სმ)*

1. **რელიგიების წარმოშობა**
2. **გარეული ფრინველები საქართველოში**
3. **გარეული ცხოველები საქართველოში**
4. **მწერები**
5. **ქვეწარმავლები საქართველოში**
6. **საქართველოს მცენარეები**
7. **სამყაროს წარმოშობა**
8. **ნიადაგი – სიცოცხლის წყარო**
9. **რეპტილიები და დინოზავრები**
10. **მსოფლიოს დროშები**
11. **ზღვის დინებები**
12. **ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა**
13. **ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტაქტიკა**
14. **მსოფლიოს შვიდი საოცრება**

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. **მიხეილ ჯავახიშვილი**
2. **გიორგი ლეონიძე**
3. **ირაკლი აბაშიძე**
4. **ნოდარ დუმბაძე**
5. **აკაკი წერეთელი**
6. **კონსტანტინე გამსახურდია**
7. **პაოლო იაშვილი**
8. **სულხან-საბა ორბელიანი**
9. **პოლიკარპე კაკაბაძე**
10. **გურამ რჩეულიშვილი**
11. **დავით გურამიშვილი**
12. **ბესიკი**
13. **რევაზ ინანიშვილი**
14. **თეიმურაზ I**
15. **ვახტანგ VI**
16. **გიორგი მერჩულე**
17. **გრიგოლ ორბელიანი**
18. **დავით ალმაშენებელი**

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი**
2. **მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო**
3. **ადელ გლოზ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი**
4. **მენინები - დიეგო ველასკესი**
5. **დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო**
6. **მხატვრის ბალი - კლოდ მონე**
7. **უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი**
8. **საძანელა - ოგიუსტ რენუარი**
9. **საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა**

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

აზერბაიჯანელი მოსწავლეების სტუმრობა ქართულ უნივერსიტეტებში

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება ხდება როგორც ოჯახში, აგრეთვე სკოლაში. მასწავლებელმა სკოლა სახლს უნდა დაამსგავსოს, მინდა ყველა გაკვეთილი მოლოდინით იწყებოდეს. „სიყვარულის წებო“ მოვიმარჯვე და სკოლის სახლად ქცევას შევუდექი. სკოლას მნიშვნელოვანი როლი აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ყველაზე მეტი სიხარული, ტანჯვა, მოგონება და მეგობრული ურთიერთობები სკოლას უკავშირდება, ამიტომ ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ტკბილი მოგონება დავუტოვოთ ჩვენს აზერბაიჯანელ მოსწავლეებს, არ მივცეთ მოდუნების, უმოძრაობისა და ერთფეროვნების უფლება, დავანახოთ აქტიური მოქალაქისა და სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმები. მოსწავლეები ჩვენი თანამოაზრენი არიან, ერთად დავიწყეთ იმ სახლის შენება, რომელსაც სკოლა ჰქვია. დღემდე ვაშენებთ, ყოველ წელს უფრო და უფრო თბილსა და მხიარულს ვხდით, სიყვარული ასულდგმულებს ამ სახლს, ეს პატარა, მეგობრული და მრავალფეროვანი, ერთი სახურავის ქვეშ მოქცეული შენობაა, სადაც ამდენი ადამიანის მოლოდინით აღსავსე თვალები გველოდება.

მარტის სუსხიანი თვეც მიიწურა. გადავწყვიტეთ ჯავახიშვილისა და ილიას უნივერსიტეტებში წავსულიყავით, აზერბაიჯანელ სტუდენტებს შევხვედროდით, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული სტუდენტურ ცხოვრებაში. ცხოვრება ღირებულია, თუ ვსწავლობთ არა მხოლოდ იმისათვის, რომ ვიარსებოთ, არამედ იმისათვის, რომ შევქმნათ რაიმე ღირებული. გურამიშვილიც ამას გვიქადაგებს, რომ ნასწავლი არასდროს დაგვავიწყდება, სადაც არ უნდა წავიდეთ.

ჩვენი მიზანი იყო, უფროსკლასელებისთვის უმაღლესში ჩაბარების ინტერესი და სურვილი გაგვეღვივებინა. გარდაბნის სკოლის რამდენიმე მოსწავლესთან ერთად გავეშურეთ ჯავახიშვილის უნივერსიტეტში. დაგვათვალიერებინეს შენობა, მოსწავლეებს გაესაუბრენ და აუხსნეს, რომ შეუძლებელი არაფერია, სწავლა ადამიანს არასოდეს ეკარგება და ის შედეგს ყოველთვის გამოიღებს. გავეცანით სწავლის სტრუქტურას.

შემდეგ ილიას უნივერსიტეტს ვეწვიეთ, სადაც ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ეს იყო თბილი, უშუალო და მეგობრული დახვედრა. შევხვდით აზერბაიჯანელ სტუდენტებს, მათ აუხსნეს მოსწავლეებს, რომ მთავარია ადამიანმა მოინდომოს და სწავლის სურვილი ჰქონდეს, ხოლო უნივერსიტეტი მზად არის, გვერდში დაუდგეს მათ, რათა თავი საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნონ. ჩვენი შეხვედრის თემა იყო „თბილისის უბნები“. ჩართეს ვიდეორგოლი და მოსწავლეებს, მოსმენის დროს, უნდა ამოეწერათ თბილისის ის უბნები, რომლებიც სიმღერაში იყო ნახსენები. დავალება მეტად სახალისო და საინტერესო აღმოჩნდა, თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში. თეორიულად ნასწავლი პრაქტიკაში თავისუფლად გამოიყენეს, ცდილობდნენ თავი ქართულის ცოდნით გამოეჩინათ.

შემდეგ მოსწავლეები და სტუდენტები ჯგუფებად დაყვეს, თითოეულ ჯგუფს შესაბამისი დავალება მისცეს – მოეძებნათ სურათზე აღბეჭდილი შენობა, გადაეღოთ ფოტომასალა და მოემზადებინათ მოკლე ინფორმაცია ამ შენობის შესახებ. ყველა გულმოდგინედ შეუდგა დავალების განხორციელებას. ვიტყოდი, რომ შესანიშნავად გაართვეს თავი, თბილისის ქუჩები და ავტობუსი აივსო აზერბაიჯანელი მოსწავლეებით.

დასასრულ, მოსწავლეებს გადასცეს სამახსოვრო დიპლომები, სხვადასხვა ნომინაციებში: „ყველაზე სხარტები“, „ყველაზე ჭკვიანები“, „ყველაზე ორიგინალურები“, რაც მათთვის დიდი სტიმული იყო. აღფრთოვანებულები ემოციას ვერ მალავდნენ. სასიამოვნოდ და შთამბეჭდავად ჩაიარა ამ დღემ. მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი – მომავალში ამ უნივერსიტეტებში ჩააბარონ და საქართველოს აქტიური მოქალაქეები გახდნენ.

მადლობას ვუხდით ქალბატონ **თინათინ კიღურაძეს**, რომლის ორგანიზებითაც შედგა ეს შეხვედრა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსებისა და ქართული ენის სახელოსნოს კოორდინატორს **ნათია უგრეხელიძეს** ასეთი ორიგინალური და მეგობრული დახვედრისთვის. წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს მოსწავლეებს. გვჯერა, რომ ისინი მომავალი სტუდენტები გახდებიან და საქართველოს ასახელებენ.

სალომე ძირია

ახალი განათლება

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.